საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №312 (2685) შაბათი, 13 დეკემბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პარლამენტი

ბიუჯეტი მესამე მოსმენით მიღებულია

პარლამენტის თავმჯდომარე თავის სიმაღლეზე დგას

1995 წლის 5 დეკემბერს პლენარულ სხდომაზე პარლამენტარმა არმაზ ახვლედიანმა, რომელიც იმჟამად ფრაქცია „აღორძინების“ წევრიც იყო, საჯაროდ დასდო ბრალი დეპუტატ როსტომ დოლიძეს აჭარაში ტერაქტების განხორციელების მცდელობაზე. მაშინ ბატონ როსტომ დოლიძის კანდიდატურა განიხილებოდა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გაერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ახვლედიანის ბრალდება სინამდვილეს. კომისიას სათავეში ჩაუდგა დეპუტატი ანზორ წოწონავა.

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაცია მოისმინეს. კომისიის თავმჯდომარის ანზორ წოწონავას თქმით, ბატონი დოლიძის ბრალეულობა ამ საკითხში არ დასტურდება.

კომისიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შემდეგ გაიმართა დებატები, რომელიც თანდათან აჭარისა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არსებულ დაძაბულობაზე საუბარში გადაიზარდა. ამ კონტექსტში რამდენჯერმე ახსენეს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ წაყენებული ცილისწამებები.

– მე, ისევე როგორც ყველას, ამ დარბაზში მყოფს, საკუთარი წარმოდგენა გამაჩნია ჩვენს მისიაზე, ჩვენს ფუნქციებსა და ვალდებულებებზე ხალხის წინაშე, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ თავის გამოსვლაში. – ჩემთვის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარისათვის, მთავარია დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ ამ ძალიან არეულ ქვეყანაშიც კი, სადაც ბევრი უწესრიგობაა, შესაძლებელია აკეთო პოლიტიკა ბნელ ოთახში დაგეგმილი კულუარული ინტრიგების, შეთქმულებებისა და გადატრიალებების გარეშე. ამისათვის ბოლო ორი წლის განმავლობაში მე ბევრი ისეთი ნაბიჯი გადავდგი, რომლებმაც მეც და ჩემს კოლეგებსაც საკმაოდ გაგვირთულა ყოველდღიური ცხოვრება. ჩვენ ვეცადეთ ყველა გადაწყვეტილების მიღების პროცესი საზოგადოებისათვის მაქსიმალურად გახსნილი და გასაგები ყოფილიყო.

შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება მის მიმართ განხორციელებულ ცილისწამების ფაქტზე გაამახვილა.

„მართალი გითხრათ, მე შოკირებული ვიყავი არა იმის გამო, რომ არ ვარ შეჩვეული ცილისწამებებს (სამწუხაროდ, ეს საქართველოში პოლიტიკის თანმდევი მუდმივი ელემენტი გახლავთ), უფრო მეტად მე შემაშფოთა ამ ბრალდების უტიფრობამ და აბსურდულობამ. დავრწმუნდი, რომ ვიღაცას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თუნდაც სრულიად ცარიელ ადგილზე შექმნას სერიოზული პრობლემა თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობებში. მე ვთვლი, რომ ამ ორი თვის განმავლობაში ყველაფერი გავაკეთე, რათა არ დამეშვა დაძაბულობის ესკალაცია. მაქსიმალურად ვიკავებდი თავს ყოველგვარი კომენტარისაგან, საგანგებოდ ჩავედი ბათუმში მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, რადგან ვთვლიდი და ვთვლი, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თქვენს მიერ არჩეული თავმჯდომარე ვალდებულია იყოს ყველგან, სადაც საჭიროა წარმოდგენილი იყოს ჩვენი სამშობლოს უმაღლესი ხელისუფლება“.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა მის მიმართ განხორციელებულ პროვოკაციულ კამპანიაზე, რომლის ნაწილიცაა მიწისქვეშა გადასასვლელებში საგანგებოდ დამზადებული პროკლამაციების გავრცელება, მოარული ჭორების ინსტიტუტი და სხვ.

„მე ეს ძალზე სახიფათო სიმპტომად მიმაჩნია, რადგან ის, ვინც დღეს სახელმწიფო რანგირებით მეორე პირის ფორსირებულად დისკრედიტაციას ცდილობს, თვლის, რომ პირველი პირის პრობლემა სხვა მეთოდებით, სხვა გზებით მოიხსნება.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ქვეყანა თავის განვითარებაში იმგვარ მიჯნებს აღწევს, როცა გარკვეული პროცესები შეუქცევადი გახდება. შეუქცევადი გახდება ის, რომ საქართველო რეალურად უნდა გახდეს ევროპული სივრცის წევრი. საქართველოს კეთილდღეობით და სტაბილურობით რეალურად დაინტერესდებიან ჩვენი პლანეტის ზესახელმწიფოები და სხვა მექანიზმები, რომ ჩვენ ველარასოდეს ველარ წაგვართვან მიწა, რომ ვერავინ ველარასოდეს ვერ მოაწყოს აქ გადატრიალებები. ეს პროცესი მიმდინარეობს და მართლაც უახლოვდება საბოლოო ნიშნულს. ერთი რამ ცხადია: მთელი ეს კამპანიები შევარდნაძისა და მისი გუნდის წამყვანი წევრების წინააღმდეგ, მიმდინარეობს ერთი ნიშნით – იმის გამო, რომ ჩვენი არჩევანი გახლავთ ეროვნული არჩევანი“.

ზურაბ ჟვანიას პოზიცია თბილისისა და ბათუმის ურთიერთობაში აშკარად გამოკვეთილია – „ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ არ დავუშვათ ჩვენი ურთიერთობების გამწვავება, რაც ძალიან სურთ ჩვენს მტრებს. ისე ნუ გავაკეთებთ, რომ ერთ დღეს უკან მოხედვის შეგვეშინდეს“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

დილის სხდომა, რომელიც მთლიანად როსტომ დოლიძის საკითხს დაეთმო, შესაბამისი დადგენილების მიღებით დასრულდა. თვად კომისიას კი, პარლამენტის წევრთა 94 ხმით 7-ის წინააღმდეგ, შეუწყდა უფლებამოსილების მანდატი.

შესვენების შემდეგ პარლამენტარებმა მესამე მოსმენით მიიღეს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. აგრეთვე, მიიღეს კანონპროექტი „1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ“.

იხ. მე – 2 გვ.

პრეზიდენტის სამუშაო დღე

იაპონია საქართველოსთვის მომგებიან თანამშრომლობას გვთავაზობს

საქართველოს პრეზიდენტთან მიღების დროს.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თავისი პრაქტიციზმითა და ეკონომიკური ალღოთი განთქმული საქმიანი იაპონიის საქართველოსადმი ამკარად გამოკვეთილი ინტერესის კიდევ ერთ ნათელ მაგალითად შეიძლება შეფასდეს „ამომავალი მზის ქვეყნიდან“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციის ამჟამინდელი ვიზიტი თბილისში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უდიდესი კომპანიების „სუმიტომოს“, „მიცუბიშის“, „ჯეი-ჯი-სის“, „როტობოს“ წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებიც უკვე საკმაოდ კარგად იცნობენ საქართველოს ეკონომიკის რეალურ პოტენციალს და, აქედან გამომდინარე, მის შემდგომ აღმავლობაში თავიანთ ასევე რეალურ როლსაც ხედავენ.

12 დეკემბერს დელეგაციის წევრთა ჯგუფი კომპანია „სუმიტომოს“ გენერალური მენეჯერის მოადგილის, გემთმშენებელი და ტრანსპორტის დეპარტამენტის დირექტორის სიუმი ჰიროსეს ხელმძღვანელობით მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. საუბრის მთავარი თემა თანამშრომლობის სწორედ ის კონკრეტული მიმართულებები იყო, რომლებიც პრქტიკულად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენენ. იაპონელმა სტუმრებმა დაადასტურეს იაპონიის საქმიანი წრეების მზადყოფნა მონაწილეობა მიიღონ ისეთი საკვანძო მნიშვნელობის დარგების განვითარებაში, როგორიც არის მეტალურგია. ქიმიური მრეწველობა, არასტანდარტული ენერგიის წყაროების გამოყენება... მათ მიერ შემუშავებული სრულიად კონკრეტული პროექტები ითვალისწინებს, აგრეთვე, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციაში მონაწილეობას, ნავთობის ტერმინალების მშენებლობას, ანუ, ზოგადი, მაგრამ ობიექტური შეფასებით, საქართველოსათვის უაღრესად მომგებიან თანამშრომლობას მისი ეკონომიკის შემდგომი წინსვლის თითქმის ყველა მიმართულებით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო „აბრეშუმის დიდი გზის“ აღორძინებაში იაპონიის როლს, რომელიც გეოგრაფიულადაც და ისტორიულადაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა იმ ფაქტს, რომ იაპონია ძალზე სერიოზულად განიხილავს ეგრეთ წოდებულ საუკუნის პროექტში თავის ფუნქციას, რის დასტურიც არის იაპონიის მთავრობის მიერ საგანგებოდ შემუშავებული პროგრამა „ტრასეკის“ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის შესახებ.

იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა დაადასტურეს ამ პროექტისადმი იაპონიის მთავრობის გაზრდილი ინტერესი. მათი შეფასებით, პროექტის წარმატებით განხორციელებას განსაკუთრებით შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყნის, სტაბილური პარტნიორული ურთიერთობა პროექტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან. მათი განცხადებით, იაპონიის უდიდესი კომპანიები ძალზე დაინტერესებული არიან საქართველოზე გამავალი ნავთობსადენების მშენებლობით, ჰიდრო და ელექტროენერგეტიკის, კავშირგაბმულობის სფეროებში თანამშრომლობის კონკრეტული პროექტებით, რომელთა თაობაზე ვიზიტის ფარგლებში სერიოზული მოლაპარაკება მიმდინარეობს შესაბამის სტრუქტურებთან.

ნავთობსადენის პროექტის რეალიზაცია საქართველოს კეთილდღეობის საიმედო გარანტია

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი კასპიის ადრეული ნავთობის მილსადენის მშენებლობის მიმდინარეობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე იმსჯელეს 12 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ სპეციალურ თათბირზე.

1996 წლის 8 მარტს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილმა შეთანხმებამ კასპიის ადრეული ნავთობის დასავლეთის მიმართულებით მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესახებ, დასაბამი მისცა საუკუნის პროექტად შეფასებულ მილსადენის მშენებლობას.

იხ. მე – 2 გვ.

შევეწიოთ

სამების ტაძარი — საუკუნის მშენებლობა



ელიას მთაზე წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა ჩვეული ტემპით გრძელდება.

სრულიად საქართველო, მშენებლობის ფონდი მადლობას უხდის მათ, ვინც ტაძარს თუნდაც ერთი ლარი შესწირა, ხოლო მათ, ვისაც სურვილი და საშუალება გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ ამ საშვილიშვილო საქმეში, გაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს: საქართველოს ბანკი, ეროვნული ვალუტის ანგარიში № 003700076, საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 501070635, მფო 521017. დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში. ბანკის მისამართები: პუშკინის ქუჩა № 3, დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 99-54-51, 99-06-43, 99-63-03, 99-70-14, 93-31-69, 99-80-26, 99-81-91.

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

გელა ჩივაძე (საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე)	– 100 ლარი
ბესო ავალიანი	– 65 დოლარი
ლელა წულეისკირ-ავალიანი	– 65 დოლარი
ნინო ავალიანი	– 15 დოლარი
გიორგი ავალიანი	– 15 დოლარი
მალხაზ გორდიაშვილი	– 120 დოლარი
„საქართველოს ბანკის“ რუსთავის ფილიალი	– 10 ლარი
ინდუსტრია-ინვესტი ბათუმის მორ. ბანკი	– 7 ლარი.
„საქართველოს ბანკის“ ყვარლის ფილიალი	– 8 ლარი
საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების თანამშრომლები:	
მაღლაკელიძე	– 10 ლარი
ტაბიძე	– 10 ლარი
ჩუტკერაშვილი	– 10 ლარი
თუხარელი	– 10 ლარი
ბერძენიშვილი	– 7 ლარი
დათო კოკელაშვილი	– 5 ლარი
ლებაბერიძე	– 10 ლარი

ბნელი ოთახის ზანზიბარული ვარიანტი

ამ ბოლო წლებში საქართველო იმდენ სკანდალს მოესწრო, თითქოს არაფერი უნდა გვიკვირდეს, მაგრამ... რა გამოლევს ადამიანებს, რომლებიც სენსაციებით ცხოვრობენ და ამავე სენსაციებით აპირებენ უკეთესი მომავლის მოწყობას. ბათუმის ყოფილი მერის, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატის თამაზ ხარაზის ცნობილმა ბრალდებამ ხომ ახალ სკანდალში „ჩაითრია“ ქვეყნის ხელისუფლებაცა და საზოგადოებრიობაც. გუშინწინ ეგრეთ წოდებული „ურეკის საქმის“ გამოძიების მიმდინარეობა მოისმინეს საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც მოიწვიეს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა თავიდანვე განაცხადა, რომ საქართველოში იმყოფებოდა ევროსაბჭოს მისია, რომელმაც ძალზე დადებითად შეაფასა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები. კარგა ხანია, მივდივართ სამართლებრივი, დემოკრატიული, ცივილიზებული გზით. და ამ დროს ზოგიერთები გვიბიძგებენ „ბნელი ოთახის“ პოლიტიკის განხორციელებისაკენ, პრობლემების ბარბაროსული მეთოდებით გადაწყვეტისაკენ, რაღაც ზანზიბარის დონეზე დაშვებისაკენ. ამისთანა მოვლენებს პარლამენტმა უნდა მისცეს სხვანაირი რეაგირება, რათა ქვეყანასა და ხალხს აარიდოლოს მოსალოდნელი საშიშროება.

იხ. მე – 2 გვ.

ვიზიტი

საქართველო მზადაა რუმინეთის საიმედო პარტნიორად იქცეს

როგორც ვიუწყებოდით, რუმინეთში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის დროს, 10 დეკემბერს ბუქარესტში რუმინეთის პრეზიდენტმა ემილ კონსტანტინესკუმ გამართა ოფიციალური სადილი საპატიო სტუმრის პატივსაცემად. სადილზე ორი ქვეყნის მეთაურებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,
ძვირფასო მეგობრებო,

საქართველოს დელეგაციის სახელით ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენს მშვენიერ ქვეყანაში მოწვევისთვის და ჩვენს მიმართ წარმოთქმული გულთბილი სიტყვებისთვის.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისა და ურთიერთობისთვისაც, რომელიც ჩვენს შორის უკანასკნელ ხანს ჩამოყალიბდა.

მსურს, გულწრფელად მოგილოცოთ ის დიდი წარმატებები, რომლებსაც რუმინეთმა მიაღწია, დაძლია რა წარსულის უმძიმესი მემკვიდრეობა. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რაოდენ ეკლიანი აღმოჩნდა რუმინელი ხალხის უახლესი ისტორია, რა მსხვერპლის ფასად დაუჯდა მას თავისუფლება

იხ. მე – 2 გვ.

რუმინეთის პრეზიდენტის ემილ კონსტანტინესკუს სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!
ქალბატონებო და ბატონებო!

თქვენს ოფიციალურ ვიზიტს რუმინეთში აქვს რუმინეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის ღირსშესანიშნავი მომენტის ყველა ატრიბუტი. საქმე ეხება იმ პოლიტიკურ მოვლენას, რომელიც აფიქსირებს როგორც ჩვენი ქვეყნების ამჟამინდელი თანამშრომლობის განვითარებას, ისე ჩვენს რეგიონში პარტნიორული ურთიერთობის ახალ რეალობას.

ვფიქრობ, რომ ზედმეტი თავმდაბლობა იქნება, თუ არ აღვნიშნავ იმ არსებით წვლილს, რომელიც შეიტანეს რუმინეთმა და საქართველომ შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში პარტნიორობის სივრცის მშენებლობის საქმეში. სადღეისოდ არსებობს ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური პოლუსის განმტკიცების რეალური პერსპექტივა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მომავალ ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურაში.

ჩვენ კიდევ ერთხელ დიდი კმაყოფილებით გავუსვით ხაზი იმას, რომ რუმინეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებას მტკიცე საძირკველი აქვს ჩაყრილი. ორი-

იხ. მე – 2 გვ.

ინფორმაცია

პარლამენტის თავმჯდომარე შეშფოთებულია

„შეშფოთებული ვართ იმ ინფორმაციით, რომელიც გაგვაჩნია საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სპეცსამსახურების გააქტიურების შესახებ“, – განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ელიზი-ნიუსის“ კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

„საფიქრალიც ბევრი გვაქვს, ჯერ კიდევ დაუდგენელია, აპირებს თუ არა რუსეთი ჩვენთან მეგობრობას; აფხაზეთის პრობლემისა და სამხედრო საკითხთა მოგვარება-არმოგვარება განსაზღვრავს საქართველოს დსთ-ში ყოფნას“, – თქვა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა.

პრეზიდენტი კიდევ 500-მდე პატიმარს შეიწყალებს

1998 წლის იანვარში დაიწყება მსჯავრდებულთა შეწყალების მეორე ეტაპი. ზეას კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში სასჯელთა აღმასრულებელი დეპარტამენტის თავმჯდომარემ გივი ყვარელაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში შეწყალებული იქნა 1420 პატიმარი. შეწყალება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულების საფუძველზე ხორციელდება.

ყვარელაშვილის თქმით, 1998 წლის იანვარში შეწყალებული იქნებიან პატიმრები, რომლებიც პირველად იხდიან სასჯელს და მისჯილი აქვთ 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მოიხადეს სასჯელის ერთი მესამედი და მათ დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში არ აქვთ ჩადენილი.

დაღუპულთა ნეშთების გადმოსვენება გაგრძელდება

აფხაზური მხარე თანახმაა ბაბუშერას აეროდრომიდან ქართველი მებრძოლების ნეშთების გადმოსვენების პროცესის გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში, თუ ქართველები აფხაზურ მხარეს კონფლიქტის დროს დაღუპული აფხაზების დასაფლავების ადგილს მიუთითებენ და ერთი აფხაზის ცხედარს მაინც გადასცემენ. სავარაუდოა, რომ ბაბუშერას აეროპორტიდან ქართველ მებრძოლთა ნეშთების გადმოსვენება მომავალ კვირას დაიწყება.

აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა ავთანდილ იოსელიანთან საუბრისას სურვილი გამოთქვეს, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის გაგრძელდეს ორმხრივი შეხვედრები, აგრეთვე, მომავალში გაიმართოს ორივე მხრიდან დაღუპულთა დედების, პარლამენტართა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრები.

რუსი მესაზღვრეები ფსოუზე სარფიან ბიზნესს ეწევიან

რუსეთ-საქართველოს ფსოუს მონაკვეთზე „აფხაზ მეციტრუსეებს“ მთელი რიგი პრობლემები ექმნებათ.

როგორც თვითმხილველნი აცხადებენ, მესაზღვრეები ციტრუსებით დატვირთულ მანქანებს საზღვარზე „უფასოდ“ არ ატარებენ. არის გამოძალვის ფაქტები, – მესაზღვრეები როგორც ფულით, ასევე ნატურით იღებენ მძღოლებისგან ქრთამს.

კუტაევი ჩეჩნეთის წარმომადგენელია აფხაზეთში

რუსლან კუტაევი ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა აფხაზეთში. რუსლან კუტაევი 31 წლისაა, პროფესიით იურისტია, ცოლშვილიანი. უკვე რამდენიმე დღეა, იგი სოხუმში იმყოფება. 10 დეკემბერს შედგა პირველი შეხვედრა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენელსა და ვლადისლავ არძინბას შორის. შეხვედრაზე მხარეებმა გამოთქვეს სრული მზადყოფნა თანამშრომლობისათვის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში.

ზაგულინი ნამეტანს აქტიურობს

რუსეთის დსთ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე ზაგულინმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამჟამად გალის რაიონში დაბრუნდა ქართველი მოსახლეობის 80 პროცენტი. მისი თქმით, დაუშვებელია აფხაზეთის ბლოკადის გაგრძელება.

ვსწავლობთ საგანგებო სიტუაციებს

18 დეკემბერს სასტუმრო „იბერია ინნ“-ში გაიმართა გაეროს „საგანგებო სიტუაციების მართვის ხელშეწყობის პროგრამის“ პირველი თათბირ-სემინარი. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, ქვეყნის სამთავრობო უწყებებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები.

წყალსა დროით შეასმევდე

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ დაასრულა სასმელი წყლის სისტემის პროექტზე მუშაობა ახალციხის რაიონში, რომლის ღირებულებაც 5000 აშშ დოლარია. ამ წყლით ძირითადად ისარგებლებს ახალციხის, ველეს და სოფელ ივლითას მოსახლეობა.

მაღალჩინოსან მოხელეებს ძველი დრო მოაგონდათ...

„საქენერგომ“ და „თელასმა“ ერთობლივად გააკეთეს განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „უკანასკნელ პერიოდში თბილისის რაიონებს ელექტროენერგია მიეწოდებათ სტაბილური გრაფიკით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ უბანში და საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მაღალჩინოსანი მოხელეები მოითხოვენ ელექტროენერგიის პრივილეგირებულ მიწოდებას, იყენებენ რა თავიანთ თანამდებობრივ და სამსახურებრივ მდგომარეობას, აიძულებენ „საქენერგოს“ და „თელასის“ თანამშრომლებს, დატოვონ ჩართული მთელი უბნის მკვებავი ფიდერი. გარდა ამისა, მოითხოვენ, რომ მათ ბინებში ინდივიდუალურად გადაიყვანონ საარსებო დანიშნულების ობიექტებიდან ელექტროკვება, რაც იწვევს სხვა დანარჩენი მცხოვრებლების სამართლიან უკმაყოფილებას. ასეთი მოქმედების შედეგად თბილისში დამატებით მოიხმარება 60-70 ათასი კილოვატი სიმძლავრე, ანუ დღე-ღამეში მინიმუმ ერთი მილიონი კილოვატი ელექტროენერგია, რომლის ღირებულება 45 ათასი ლარია.

ამჟამად თავს ვიკავებთ ამ ჩინოსანთა გვარების დასახელებაზე და მოვუწოდებთ მათ, დაუყოვნებლივ აღკვეთონ თავიანთ საცხოვრებელ ბინებში ადრე გადაყვანილი დამატებითი კვების წყაროები. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი გვარები პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გამოვაქვეყნოთ“.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, „მოამბე-ექს-პრესმა“, „გეამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

უფლებამოსილია განაცხადოს

ყოფილი მღვდელი პროვოკაციას მიმართავს

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს საპატრიარქოს მითითებით, კრწანისის რაიონის პოლიციამ დააკავა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი მღვდელი ანდრია ბოროდა-კოგანი. საპატრიარქოს პრესცენტრი აცხადებს, რომ ეს ბრალდება მორიგი მიზანმიმართული პროვოკაციაა ეკლესიიდან განდგომილების მხრიდან და იგი სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამება. ამასთან, ეს არის შეგნებული ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ანდრია ბოროდა და მისი თანამოაზრენი ეკლესიიდან დევნილების სახით და ამ ცნობილი მეთოდით საზოგადოებრიობის გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვოს.

შევნიშნავთ, რომ ანდრია ბოროდა არის ეკლესიიდან განდგომილთა, ე. წ. „ბოსტონის დაჯგუფების“ ყველაზე აქტიური წევრი და მთავარი იდეოლოგი. იგი და მისი მხარდამჭერნი საოცარი ალოგიკურობით გამოირჩევიან. ერთი მხრივ, აცხადებენ, მართლმადიდებლობის „უკომპრომისო“ დამცველები ვართო, მეორე მხრივ კი, უარყოფენ ჩვენს წარსულს, ჩვენს ტრადიციებს, ქადაგებენ სრულ რელიგიურ თავისუფლებას და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებას ფაშისტურ გამოვლინებად და ბოლშევიკურ სულისკვეთებად მიიჩნევენ (იხ. გაზ. „მაცნე“, 10-16. XII. 1997). ა. ბოროდა აცხადებს, თითქოს იგი რელიგიური უმცირესობის ინტერესების დამცველია საქართველოში, სინამდვილეში კი ის და მისი ჯგუფი გვევლინება გარკვეული პოლიტიკური ძალების მიზნების განმახორციელებლად და რელიგიური შუღლის გამღვივებლად.

საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი.

უკანასკნელ საათს

ლონდონი. გუშინ ბრიტანეთის დედაქალაქის ჰითროუს აეროპორტში ძლიერი ხანძარი მოხდა. ცეცხლის ენები 20 მეტრ სიმაღლეზე სწვდებოდა. ხანძარმა, რომელიც აეროპორტის მალი მომსახურების სასაუზმეში გაჩნდა, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა აეროდრომის ნაგებობებს. მსხვერპლი არ არის.

ბარვიხა. აქაურ სანატორიუმში, სადაც რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იმყოფება, მორიგი კონსილიუმი გაიმართა. ექიმების თქმით, ელცინს, შესაძლოა, ხვალ ან ზეგ ჰაერზე გასეირნების ნება დართონ.

მოსკოვი. აქ აღინიშნა რუსეთის კონსტიტუციის მიღების მე-4 წლისთავი. კვლავ გაიხსნა № 1 საგუშაგო, რომელიც ლენინის მავზოლეუმიდან ალექსანდრეს ბაღში, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გადაიტანეს.

ნარიან-მარი. აქ მუშაობას შეუდგა სამთავრობო კომისია, რომელიც იძიებს ან-12 თვითმფრინავისა და მი-12 შვეულმფრენის შეტაკების გარემოებებს. მიწაზე დაშვებისას ან-12 წამოედო შვეულმფრენს, რომელიც ხუთ მეტრ სიმაღლეზე იყო ასული. აფეთქების შედეგად დაიწვა ყველა მგზავრი.

საქართველოს რესპუბლიკა
№312. შაბათი, 13 დეკემბერი, 1997 წელი.

ვიზიტი

საქართველო მზადაა რუმინეთის საიმედო პარტნიორად იქცეს

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

(პირველი გვერდიდან)

და დემოკრატია. არ შემიძლია კვლავ არ გავიხსენო ჩემი ერთ-ერთი ჩამოსვლა, როდესაც მშვენიერ ბუქარესტს ტანკების საზარელი გრუხუნი და ტყვიამფრქვევების სროლის ხმა აზანზარებდა. როგორც იმ ხალხის წარმომადგენელმა, რომელმაც არაერთხელ და, მათ შორის, უკანასკნელ წლებში თავად გაიღო სისხლი უკეთესი მომავლისათვის, შემიძლია დაგარწმუნოთ: თქვენს მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია. ჩვენ გვახარებს თქვენი დინამიკური განვითარება იმ გზით, რომელიც თქვენს ქვეყანას, მთლიანად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, შავიზღვისპირეთს, კავკასიას, ცენტრალურ აზიას თავის ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელიც ჩვენს თვალწინ და ჩვენი მონაწილეობით ყალიბდება. რუმინეთში უკანასკნელ ხანს მომხდარი ცვლილებები, ახალი გზა, რომელსაც თქვენი სახელმწიფო და მისი ხელმძღვანელობა დაადგა, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს აღმოსავლეთ ევროპისა და არა მხოლოდ მის მომავალს.

ჩვენ კარგა ხანია ვემზადებოდით ამ ვიზიტისთვის. მე მხოლოდ პროტოკოლით გათვალისწინებულ ცერემონიალურ ღონისძიებებს არ ვგულისხმობ. ჩვენს შეხვედრას და იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ჩვენ დღეს ვიღებთ, თვით მსოფლიოში მიმდინარე გლობალური მასშტაბის მოვლენები უწყობდნენ ხელს. კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე პროცესები, ჩვენს საერთო სახლში — ევროპაში შექმნილი ახალი რეალიები და მათთან ადაპტაციისა და მათში სრულფასოვანი ჩართვის სურვილი და აუცილებლობა პრეზიდენტ კონსტანტინესკუსა და მე გვიბიძგებდა არც ერთი შესაძლებლობა არ გამოგვეტოვებინა, რომ არ შეგვეჯერებინა ჩვენი აზრები და სამომავლო გეგმები. ასე იყო სტამბოლში ბისეკ-ტრასეკას ფორუმზე, ასე იყო მოსკოვში ბისეკის სამიტზე, ასე იყო სტრასბურგში, ევროპის საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე. გამოვყოფდი ბატონ პეტრე რომანთან უაღრესად ნაყოფიერ საუბარსაც მისი თბილისში ამასწინანდელი ვიზიტის დროს. და მიუხედავად იმისა, რომ ეს საქართველოს დელეგაციის პირველი უმაღლესი დონის ვიზიტია რუმინეთში, ჩვენს შორის ურთიერთობა უკვე კარგა ხანია მსგავსი ღირებულებითა და მიზნებით გაერთიანებული ძველი საქმიანი პარტნიორების სისტემატურ კონსულტაციებს უფრო ემსგავსება. ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ამგვარ ურთიერთობას.

ბოლო ორი წელი დიდი აბრეშუმის გზის ქვეყნებს შორის სხვადასხვა დონის შეხვედრების ინტენსივობით აღინიშნა. ამ ისტორიული გზის აღდგენასა და მის წარმატებით ფუნქციონირებაში რუმინეთსა და საქართველოს, მათ შორის სანიმუშო ურთიერთობას, გადამწყვეტი როლი ეკისრება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალის აღორძინება და ფუნქციონირება დამოკიდებულია ამ გზაზე განლაგებულ ყველა ქვეყანას შორის ცივილიზებულ, მეგობრულ ურთიერთობაზე. ჩვენ მივესალმებით რუმინეთის განზრახვას შეუერთდეს სარაჭსის შეთანხმებას, რომელსაც უკვე ბულგარეთმა და ყირგიზეთმაც მოაწერეს ხელი. ასეთივე განზრახვა გამოთქვეს უკანასკნელ ხანს უკრაინის, მოლდოვასა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა. რუმინეთის უნიკალური შესაძლებლობები საზღვაო ნავსადგურების, გემთსაშენებისა და დუნაის აუზზე გასვლის გათვალისწინებით, მისი დიდი აბრეშუმის გზის პროექტში მონაწილეობის საუკეთესო პერსპექტივას ქმნიან. საქართველო მზადაა რუმინეთის საიმედო პარტნიორად იქცეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ახლა, ვამტკიცებთ რა ჩვენს შორის კავშირურთიერთობას, ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი ხალხების, არამედ გაცილებით უფრო დიდ სივრცეებზე მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობაზე, ახალი, სამართლიანი მსოფლიო წესრიგის შექმნისათვისაც ვზრუნავთ.

ამ პროცესებს, რომლებიც მხოლოდ „ცივი ომის" და ბიპოლარული კონფრონტაციის დასრულების შედეგად გახდა შესაძლებელი, ჩვენს დროში ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს ევროკავშირის სახით. მისი აღმოსავლური პოლიტიკის წყალობით ევროპულ ღირებულებებთან წლობითა თუ საუკუნეებით მოწყვეტილი ხალხები თანდათან უბრუნდებიან დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და პიროვნების თავისუფლების უზენაესობის, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებს. ჩვენ მივესალმებით და იმედით შევყურებთ რუმინეთის ლტოლვას ევროკავშირისკენ, ისევე როგორც ევროკავშირის ძალისხმევას, მიმართულს რუმინეთის გაწევრიანებისთვის თავის რიგებში. არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა, ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნების ჩათვლით, სრულფასოვანი გაწევრიანება ევროპულ სტრუქტურებში, ახალი, სამართლიანი, არაკონფრონტაციული მსოფლიო წესრიგის შექმნის უმტკიცესი გარანტიაა. დარწმუნებული ვართ, რომ მას შემდეგ, რაც ეს უდიდესი და უძლიერესი გაერთიანება მოადგება შავი ზღვის დასავლეთ ნაპირებს, კავკასიის სახელმწიფოთა ცხოვრებაში თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყება — ეტაპი ხალხთა ევროპულ ოჯახში ყოვლისმომცველი ინტეგრაციისა, ეტაპი, რომელიც უამრავი სიძნელის მიუხედავად, უკვე დაიწყო და რომელსაც საქართველო და, დარწმუნებული ვარ, კავკასიის დანარჩენი სახელმწიფოები ბოლომდე მიიყვანენ.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. გასულ წელს კავკასიის სამმა სახელმწიფომ, ცალ-ცალკე ხელი მოაწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას ევროკავშირთან. ამ შეთანხმების რატიფიკაცია უკვე მოახდინა ევროპარლამენტმა და ევროკავშირის ხუთმა სახელმწიფომ. წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობამ თვისებრივად ახალ დონეს მიაღწია — დაიწყო პოლიტიკური დიალოგი ჩვენს შორის. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის", წელს გახდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, ხოლო სულ მალე ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრიც გახდება. წარმატებით მიმდინარეობს დიალოგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან. ასე რომ, ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალს და მზად ვართ რუმინეთთან, აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი, მეგობრული, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ძვირფასო მეგობრებო,

დღეს ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განმტკიცების გზაზე. ამ ურთიერთობების სათავეებთან იდგნენ ჩვენი დიდი წინაპრები და მათ შორის დიდი ანთიმოზ ივერიელი, რომლის სულიერი სიდიადე ყოველი ჩვენგანისთვის სამაგალითო უნდა იყოს. მინდა ვისურვო, რომ ჩვენ, მისი შთამომავალნი, დიდი ქართველისა და რუმინული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის საქმეთა ღირსეული გამგრძელებელნი ვყოფილიყავით. ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ ჩვენი გულითადი მასპინძლის, პრეზიდენტ კონსტანტინესკუს, რუმინელი ხალხის, ჩვენი საერთო მიზნების აღსრულების სადღეგრძელო.

რუმინეთის პრეზიდენტის ემილ კონსტანტინესკუს სიტყვა

(პირველი გვერდიდან)

ვე ქვეყნისათვის საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალური მიმართულებების გარდა, დღეს გვაქვს შესაძლებლობა, ვილაპარაკოთ ჩვენს შანსზე, განვავითაროთ ეფექტიანი და სტრატეგიული თანამშრომლობა განსაკუთრებით პერსპექტიულ პროექტებში.

ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობ იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც უქმნის ჩვენს ქვეყნებს გეოსტრატეგიული მდებარეობა და მათი ეკონომიკური პოტენციალი ევროპის დერეფნებთან ტრასეკას პროექტის შეერთების საქმეში. ამჟამინდელი მოლაპარაკების დროს გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ეს პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული და დავთქვით, რომ საჭიროა გამიზნული სტრატეგია და მოქმედება ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი რეგიონული და ევროპული თანამშრომლობის ახალ განზომილებათა შექმნაში, განვითარების იმ ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების ინტეგრირებული პროგრამის განხორციელების პირობებით, რომლებსაც მყარი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველი უნდა ჰქონდეთ.

მე უკვე აღვნიშნე, რომ რუმინეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ინიციატივას შავი ზღვის და კასპიის ზღვის აუზების სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციის ორგანიზების თაობაზე, და, განსაკუთრებული კმაყოფილებით განვაცხადე, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა ჩვენს მიერ გამოთქმულ წინადადებას, რომ ეს კონფერენცია გახდეს ტრასეკას დერეფნის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს ჩვენ ვილაპარაკეთ ახალ „ნავთობის გზაზე" და, ვფიქრობთ, რომ გვაქვს საკმაოდ მყარი არგუმენტები საიმისოდ, რათა განვაცხადოთ, რომ ეს გზა ჩვენ გვერდს ვერ აგვივლის, რუმინეთის მხარის წინადადება შეიცავს მეტს, ვიდრე სატრანზიტო და გადამმუშავებელი პოტენციალია — ეკონომიკურ გარანტიებსა და გეოსტრატეგიულ უპირატესობას. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, რომელიც საჭიროა ხანგრძლივი ვადით ჩაფიქრებული თანამშრომლობის პროცესისათვის.

ზემოაღნიშნულის გამეორებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მსურს დავუბრუნდე ამ ცოტა ხნის წინათ ნათქვამს: ამჟამად, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტით „ნავთობის გზა" უნდა გადიოდეს სტაბილურ სახელმწიფოებზე, რომლებსაც, თავის მხრივ, შეეძლებათ ამ სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ამ თვალსაზრისით თქვენმა ქვეყანამაც დაადასტურა, რომ მხარს უჭერს აღნიშნულ პოლიტიკურ კოორდინატებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დიპლომატიურ დონეზე გაწეული ძალისხმევით, მან მოახერხა გამხდარიყო სტაბილურობის წყარო რეგიონში, რომელიც ჯერ კიდევ გატანჯულია ამ ცოტა ხნის წინანდელი კონფლიქტების შედეგებისა და მემკვიდრეობით დარჩენილი ისტორიული უთანხმოებებისაგან. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, და კიდევ ერთხელ მივესალმები პრეზიდენტ შევარდნაძის არსებით როლს ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიული წარმატების მიღწევის საქმეში.

სავსებით ცხადია, რომ რუმინეთსა და საქართველოს ამჟამად ძალზე ბევრი რამ აქვთ საერთო საიმისოდ, რათა კიდევ ერთხელ გახდნენ თანამედროვე და ეფექტიანი პარტნიორობის ნიმუში.

რადგან მე ძალზე გამიტაცა ჩვენი მოლაპარაკების ოფიციალურმა ტონმა, ეს სადღეგრძელო სულ სხვაგვარად მსურს დავასრულო.

არა მგონია, რომ შეიძლება ნამდვილი პარტნიორობის დამყარება გულწრფელი და ორმხრივი მეგობრობის გარეშე. ჩვენმა ქვეყნებმა და ხალხებმა ადრეც ცხადყვეს და ცხადყოფენ კიდეც, რომ ეს მეგობრობა არის უდავოდ რეალური და არა ფორმალური და ოქმისეული. მის საფუძველზე ჩვენი პარტნიორობა უნდა გახდეს ჭეშმარიტი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! ქალბატონებო და ბატონებო! ნება მიბოძეთ, შევსვა ჩვენი მეგობრობის, ჩვენი მომავალი ურთიერთობის, ჩვენი ხალხების კეთილდღეობისა და ბედნიერების სადღეგრძელო. თქვენი დღეგრძელობისა იყოს, ბატონო პრეზიდენტო, პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო!

პარლამენტი

ბიუჯეტი მესამე მოსმენით მიღებულია

პარლამენტის თავმჯდომარე თავის სიმაღლეზე დგას

„დღეს მთავარია, ბოლომდე მივიყვანოთ და შევასრულოთ ორმხრივი ხელშეკრულებები საზღვართან დაკავშირებით. ახლა მთავარია, ჩვენ არ გავხდეთ მიზეზი კონფლიქტის მოწესრიგების მცდელობის ჩაშლისა შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესში საქართველოში დაძაბული ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნის გამო", — ნათქვამია საქართველოს პარლამენტისადმი დღეს გამოგზავნილ წერილში.

პრეზიდენტის პოზიცია ეყრდნობა ორიოდე დღის წინათ დამთავრებულ საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებას ორი ქვეყნის ურთიერთობის მთელი კომპლექსის ირგვლივ. აქედან გამომდინარე, მან დეპუტატებს მოუწოდა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევისგან თავი შეიკავონ, შემდგომი ეტაპისათვის გადადონ, რადგან ბევრი მიღწეული შეთანხმება საგულისხმოა და დეპუტატთა კორპუსის მხრიდან ღრმად შესწავლასა და გააზრებას მოითხოვს.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება პრეზიდენტის პოზიციას და მიაჩნია, რომ კონსტიტუციური პროცედურის მიხედვით, საჭიროა პარლამენტარებმა კონსულტაციები გააგრძელონ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად.

აზრთა გაზიარების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ ხვალ კვლავ შეიკრიბებიან კონსულტაციებზე და ამ საკითხს სამშაბათის ბიუროს სხდომაზე მიუბრუნდებიან.

დასასრული. დასაწყისი იხ. I გვერდზე.

დეპუტატმა ჯონი თაყნიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება „1995 წლის ბიუჯეტის ზემოთ დარღვევით გაწეული ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის თაობაზე".

პარლამენტარებმა დღესვე განიხილეს და მიიღეს კანონპროექტები „საბიუჯეტო სისტემებისა და უფლებამოსილებების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

დღესვე პარლამენტმა თანხმობა მისცა პრეზიდენტს ეგვიპტის არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად აპოლონ სილაგაძის დანიშვნის თაობაზე.

სხდომის დასასრულს სამემოდგომო სესიის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ. მისი თქმით, ამ სესიის განმავლობაში პარლამენტმა მოახერხა საკონსტიტუციო კანონების მიღება, აგრეთვე, პირველად მოხერხდა საბიუჯეტო კოდექსის ზუსტ საკონსტიტუციო ჩარჩოში მოქცევა. მიღებულია საბაჟო, სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

სესიის განმავლობაში 109 კანონია მიღებული, აქედან 39 — პრეზიდენტის ინიციატივით, მიღებულია, აგრეთვე, 52 დადგენილება, რატიფიცირებულია 31 ხელშეკრულება და კონვენცია.

ბნელი ოთახის ზანზიბარული ვარიანტი

შემდეგ ჩართეს ვიდეოფირი. საუბრობს თამაზ ხარაზი: „ურეკში დამიბარეს, გადაბირება დამიწყეს, აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა შემომთავაზეს... საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებმა წარსულიდან გაკვეთილები ვერ გამოიტანეს, ხალხს ისევ გახლეჩისკენ, სისხლისღვრისკენ, ღალატისკენ მოუწოდებენ, სურთ აჭარის კანონიერი ხელისუფლების დამხობა, რომელმაც ამ რეგიონში სრული სიმშვიდე შეინარჩუნა ტყვიის გაუვარდნელად, მსხვერპლის გაუღებლად... და მე უფლება არა მაქვს, ეს არ განვაცხადო, ქვეყანას ახალი ტრაგედია არ ავაცილო... და იქვე მართლაც საზარელი კადრები, ძირითადად, აფხაზეთის ომიდან, საერთო ანბლაგით: „რას გადაურჩა აჭარა"...

საქართველოს გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის განცხადებით, აჭარის ტელევიზიით თამაზ ხარაზის გამოსვლასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიასა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის როსტომ დოლიძის განცხადებების საფუძველზე გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ცილისწამების გამო. შემოწმებულია ვერსიები, მოძიებულია ფაქტობრივი დოკუმენტები, დაკითხულია ამ საქმესთან დაკავშირებული პირები, შეკრებილია მტკიცებულობები. დადგინდა, რომ პანსიონატ „ურეკში" როსტომ დოლიძის ოჯახისთვის გამოყოფილ კოტეჯში დოლიძე-ხარაზის შეხვედრას და მათ შორის გამართულ საუბარს ზურაბ ჟვანია არ დასწრებია. მას არც შეეძლო დასწრება, რადგანაც ამ პერიოდში იგი იქ არ იმყოფებოდა. მას აქვს გამოძიებით შემოწმებული მყარი და უტყუარი ალიბი, რომელიც გამორიცხავს ბათუმის ყოფილი მერის მიერ აღწერილ დროს, ადგილსა და სიტუაციაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ყოფნის შესაძლებლობას. ზურაბ ჟვანიას არც სხვა დღეებში შეეძლო ასეთ შეხვედრაზე დასწრება, რადგანაც იგი პარლამენტის ბიუროს მუშაობის გრაფიკით სულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობდა. ამიტომ თამაზ ხარაზის ნათქვამი მხოლოდ მონაჭორია.

სადღეისოდ არ დასტურდება როსტომ დოლიძესა და თამაზ ხარაზს შორის პანსიონატ „ურეკში" შემდგარი საუბრის ანტიკონსტიტუციური ხასიათი. როსტომ დოლიძე არ უარყოფს თამაზ ხარაზთან შეხვედრის ფაქტს, მაგრამ აცხადებს, რომ ლაპარაკი არ ყოფილა აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ რაიმე შეთქმულებაზე, მთავრობის შეცვლაზე, ახალი ხალხის მოყვანაზე. ხარაზის გამოსვლა წმინდა წყლის ცილისწამებაა და მას უნდა მიეცეს შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

აუცილებელია თამაზ ხარაზის დაკითხვა, მისი დაპირისპირება, სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, მაგრამ... ბათუმში ჩავიდა გენერალური პროკურორის მოადგილე როლანდ გილიგაშვილი, ჩავიდნენ საგამოძიებო ჯგუფის წევრებიც. თამაზ ხარაზი ჩვენებას არ იძლევა. იმიზეზებს ავადმყოფობას. საბუთებსაც წარმოადგენს. იგი აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატია, სარგებლობს იმუნიტეტით, — მის მიმართ იძულებით ღონისძიებებს ვერ განვახორციელებთ. ჩვენ კიდევ ერთი ცივილიზებული ნაბიჯი გადავდგით, — წერილობით მივმართეთ აჭარის უზენაეს საბჭოს, რათა თამაზ ხარაზმა სწორი შეფასება მისცეს ამ მძაფრ ვითარებას და მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში. მისთვის წინასწარ ბრალი არავის დაუდია, სადეპუტატო უფლებები არავის დაურღვევია, ამიტომ ნდობით უნდა მოეკიდოს ჩვენს მიმართვას. თუ არადა, ჩავთვლით, რომ იგი თავს არიდებს მოსალოდნელ პასუხისმგებლობას. ამას კი შესაბამისად აუცილებლად მოჰყვება ადეკვატური ზომები. ჩვენ უკვე მივდივართ რადიკალური ზომების მიღებისაკენ...

ცხადია, ბატონი ჯამლეთ ბაბილაშვილი „ვერ გაექცა" დეპუტატთა კითხვებს:

— ასლან აბაშიძემ ბათუმში გამართა პრესკონფერენცია, სადაც მოიხსენია მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტები. რა ტერორისტული აქტები იყო ეს?

— თუ ასეთი ტერორისტული აქტები იყო, აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინა აჭარის პროკურატურას და ჩვენთვის გადმოეგზავნა. იქიდან ჩვენ არავითარი ინფორმაცია არ მიგვიღია.

— ზურაბ ჟვანიასა და როსტომ დოლიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა აჭარის უშიშროების სამინისტრომ, რა ბრალი ედებათ მათ კონკრეტულად?

— ამ საქმეს ჯერ ჩვენ არ ვიცნობთ. როდესაც მას საქართველოს უშიშროების სამინისტრო თბილისში ჩამოიტანს, მაშინ გაირკვევა ყველაფერი.

— როგორ ფიქრობთ, დიდხანს დაიცავს თამაზ ხარაზს დეპუტატობის იმუნიტეტი? როდის მიმართავთ იმ რადიკალურ ზომებს?

— როცა ამოვწურავთ სათანადო პროცედურულ ნორმებს. ისე კი, ამჟამად თამაზ ხარაზი, ჩვენი ინფორმაციით, თურქეთშია წასული სამკურნალოდ...

— ესე იგი საზღვარგარეთ წავიდა, საქართველოს საზღვარი გადალახა? ხომ არ ვაგვიანებთ?

— სანამ თამაზ ხარაზს დეპუტატის იმუნიტეტი აქვს, ჩვენ მას ხელს ვერ ვახლებთ.

— ამასობაში შეიძლება ზურაბ ჟვანია და როსტომ დოლიძე დააპატიმრონ...

— ამის უფლება არავის აქვს.

— ასანიძეების საქმესთან დაკავშირებითაც არა ჰქონდათ ამისი უფლება, მაგრამ ხალხი თბილისიდან მოიტაცეს.

— ეს ახლა აღარ მოხდება...

— დაპატიმრებული იყო თამაზ ხარაზის შვილი. იგი ამ ამბების შემდეგ გაათავისუფლეს. რა იცით ამის შესახებ?

— ყველაფერი ვიცით, დაგვაცადეთ, გეტყვით, მოვა ამის დრო!

ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა „ამ დროს მოსვლას" არ დაუცადა და პირდაპირ მოსჭრა: აშკარაა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ მოქმედებს ერთიანი საპროცესო კოდექსი; აჭარის პროკურატურა, რბილად რომ ვთქვათ, ანგარიშს არ უწევს გენერალურ პროკურატურას; „ურეკის საქმე" შექმნილია ხელოვნურად, რათა მოახდინონ საქართველოს პარლამენტის დისკრედიტაცია; ჩვენ უამრავი სხვა პრობლემა გვაქვს, — ქვეყანა გაივსო უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მუშაკებით, უბოდიშოდ ტერიტორიებს გვაჭრიან და უცებ... აკრძალული ილეთებით ცდილობენ აჭარა დაუპირისპირონ ცენტრს, მთლიანად საქართველოს. ეს არ მოხდება. „ბნელი ოთახის" პოლიტიკა ვერ იხეირებს.

ბონდო გულიაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ახალი ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომი საახალწლოდ გამოვა

„თუ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მხრიდან შეფერხება არ იქნება, ახალი ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომი, რომელშიც ანის, ბანის და განის ნაწილი შედის, საახალწლოდ გამოვა", — განუცხადა „მოამბე-ექს-პრესის" კორესპონდენტს ქართული ენციკლოპედიის პასუხისმგებელმა მდივანმა ბეჟან ასათიანმა. მანვე აღნიშნა, რომ წიგნის შინაარსი წინა გამოცემისაგან სრულიად განსხვავებულია.

ხუთტომეულის პირველი ტომი 20-ათასიანი ტირაჟით გამოვა. სავარაუდო ფასია — 30 ლარი, რაც მსოფლიოში მიღებულ ტარიფებზე გაცილებით იაფია.

ვინც იტალიაში მიემგზავრებით

ქართულ-იტალიური სასაუბრო, რომელიც ნუნუ გელაძემ შეადგინა და ახლახანს გამოსცა „ლომისმა" ჯემალ აჯიაშვილის რედაქტორობით, განკუთვნილია ყველასთვის, ვინც მიემგზავრება იტალიაში ტურისტული, საქმიანი თუ სამეცნიერო მიზნით, და სულ არ იცის იტალიური ენა, ან მხოლოდ გარკვეული წარმოდგენა აქვს მასზე.

სასაუბრო თემატიკურ ნაწილებად არის დაყოფილი და ყოველ თავს ახლავს საჭირო ინფორმაცია თემატიკის მიხედვით.

წიგნს დართული აქვს მოკლე ინფორმაცია იტალიის შესახებ და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ფრაზები ტრანსკრიფცირებულია ქართული ასოებით.

ფიროსმანს მემკვიდრე არ დაელევა

ქარვასლაში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის თამაზ ავალიანის პირველი პერსონალური გამოფენა. ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსდამთავრებული მეზღვაური ბავშვობიდანვე ხატავდა, მაგრამ რეალისტურ და სურეალისტურ გრაფიკაში ორი წელია მუშაობს. თეთრ მიტკალზე შავი კალმით შესრულებული „წვიმა", „მესამე თვალი", „თაიგული დედას", „ჩემი თეატრი" და „ეკლიანი მინდორი" გამოირჩევა სივრცის, ფორმისა და შუქჩრდილების განსაკუთრებული აღქმითა და შეგრძნებით.

ფონდის პირველი ჯილდო — უპირველეს სამართალდამცველს

ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს — 10 დეკემბერს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის (პრეზიდენტი გიორგი თევზაძე) გადაწყვეტილებით, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ დაწესებული პირველი საპატიო სიგელი და ოქროს მედალიონი მიენიჭა მერაბ კოსტავას (სიკვდილის შემდეგ).

ჯილდო ოჯახის წევრთა სახელით მიიღო მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ციცინო მაღლაფერიძემ.

გაზზე რომ არ აფეთქდეთ

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, შემუშავებულია გაზის გასამართი სადგურების ქალაქში განლაგების გეგმა. სტაციონარული ტიპის გაზგასამართი სადგურების მოწყობით აღიკვეთება თხევადი გაზით მოვაჭრეების სტიქიური, დაქსაქსული, სახიფათო და არაცივილიზებული მომსახურება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ", „ბეამ", ჩვენმა კორესპონდენტებმა.

პრეზიდენტის სამუშაო დღე

ნავთობსადენის პროექტის რეალიზაცია საქართველოს კეთილდღეობის საიმედო გარანტია

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ დამსწრეთ გააცნო პროექტის მიმდინარეობა და შესრულებული სამუშაოების პარამეტრები. 350 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების 388,5 კმ სიგრძის მილსადენის ინტენსიური აღდგენა-მშენებლობა, რომელიც წლეულს, გაზაფხულზე დაიწყო, დამამთავრებელ ეტაპს უახლოვდება, მისი დასრულება მომავალი წლის ოქტომბრისათვის არის ნავარაუდევი. შესრულებულია პროექტის ყოველმხრივი ექსპერტიზა ეკოლოგიური, სამშენებლო და სხვა თვალსაზრისით. მილების გაყვანის, სპეციალური საქაჩი სადგურების, სუფსის ტერმინალის მშენებლობის პროექტებში გათვალისწინებულია გარემოს დაცვის ექსპერტთა შენიშვნები და წინადადებები. სუფსის მოსახლეობას, რომელსაც მშენებლობასთან დაკავშირებით მოუხდა კარმიდამოს შეცვლა, შესაბამისი კომპენსაცია მისცეს. რეგიონში მომუშავე დასავლურ კომპანიებს გარკვეული წილი შეაქვთ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ურთულეს სამუშაოებს უცხოელ სპეციალისტებთან ერთად მაღალხარისხოვნად ახორციელებენ ქართველი ინჟინერ-მშენებლებიც. საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობა სამშენებლო პროცესში 75 პროცენტს აღემატება.

მსოფლიო ბანკის თაოსნობით მიმდინარეობს ქვეყნის ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა კასპიის დიდი ნავთობის შესაძლო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროების, სხვა უწყებათა ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს პროექტის რეალიზაციისათვის ჯერ კიდევ არსებული გარკვეული პრობლემების დროული მოწესრიგების აუცილებლობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყნისათვის ამ მართლაცდა უნიკალური პროექტის სრულმასშტაბიან რეალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნისათვის საიმედო სატრანზიტო სახელმწიფოს სახელის დამკვიდრებისათვის. ამასთან, იგი ერთ-ერთი მძლავრი არგუმენტია დიდი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის სასარგებლოდ. ამ პროცესის წარმატება, ედუარდ შევარდნაძის აზრით, დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაზე. — ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის, რაც ამ მიმართულებით კეთდება, საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ, მისი ხალხის საკეთილდღეოდ კეთდება, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აზრით, მილსადენის საიმედოობა, მისი უმაღლესი დონის უსაფრთხოება შესაბამისი სტრუქტურების მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ამასთან, პრეზიდენტის განცხადებით, უნდა განხორციელდეს საკომპენსაციო ღონისძიებები იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც მშენებლობის გამო საცხოვრებელი ადგილების შეცვლა მოუხდათ, მათი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული. სუფსის რეგიონში შესაბამისი სამუშაოების შესრულების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული რეგიონის საკურორტო-სამკურნალო პოტენციალი და სათანადო ყურადღება მიექცეს რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მილსადენის მშენებლობის დამამთავრებელ ეტაპზე პროექტის სრულმასშტაბიანი რეალიზაციის მიზნით, უახლოეს პერიოდში გამოიცემა პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ქართული კულტურის გენიამ მსოფლიო ბანკს უპრეცედენტო ნაბიჯისაკენ უბიძგა

მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება 5 მილიონი დოლარი გამოყოს ქართული კულტურის გადარჩენისათვის. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფინანსო ორგანიზაციის მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება პირველია მის ისტორიაში და სწორედ საქართველო აღმოჩნდა ის გამონაკლისი, რომელმაც მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობას ეს არაორდინარული ნაბიჯი „გადააწყვეტინა".

„ქართული კულტურა უნიკალურია და მასში გამოვლენილი გენია შთაგვაგონებს და გვიბიძგებს, არ შევანელოთ მის მიმართ ყურადღება", ასე ახსნა მსოფლიო ბანკის უპრეცედენტო აქცია ბანკის საგადასახადო ჯგუფის ხელმძღვანელმა თომას ბლინკჰორნმა 12 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან გამართულ შეხვედრაზე. მისი შეფასებით, აღნიშნული პროექტი მხოლოდ დასაწყისია და ამჯერად რამდენიმე ისტორიული ძეგლის აღდგენას ითვალისწინებს. ამჯერად ბანკის არჩევანი სიღნაღზე, ძველ თბილისზე, მატილსა და უფლისციხეზე შეჩერდა, თუმცა გამოყოფილი თანხის გარკვეული ნაწილი ზოგიერთი სხვა ძეგლისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასაც მოხმარდება. თომას ბლინკჰორნის განმარტებით, ეს აქცია პირველი ცდაა იმისა, თუ როგორ შეიძლება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლივი მოქმედება ამ მიმართულებით საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, იგი გულისხმობს საზოგადოების, ხალხის უშუალო ჩართვას პროექტის რეალიზაციაში, რათა მან უკეთ გააცნობიეროს, რა და რისთვის კეთდება. ამ ამოცანას გარკვეულწილად პრაგმატული მოსაზრებაც ახლავს — სამომავლოდ იგი ტურიზმის განვითარებასაც შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს.

თუმცა ქართველ საზოგადოებას თავისი ისტორიული და კულტურული ტრადიციების მნიშვნელობის შეხსენება არასოდეს დასჭირვებია. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, კულტურული მემკვიდრეობა საერთოდ განსაკუთრებული ფენომენია, მაგრამ საქართველოში მას მაინც სხვა დატვირთვა აქვს. „მასთან ასოცირებულია თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რასაც სახელმწიფოებრიობა ჰქვია". სწორედ ამან განაპირობა, რომ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პირობებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივით, პრაქტიკულად შიშველი ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა ქართული კულტურის გადარჩენის სახელმწიფო კომიტეტმა, რომლის გვერდით დადგა მთელი საზოგადოება და, როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, თავად გადაარჩინა თავისი კულტურა. მისი შეფასებით, ქართველისათვის ქართული კულტურა ყოველთვის თავისუფლებისა და თვითმყოფადობის თავისებური სიმბოლო იყო. საუკუნის მიწურულს საქართველო აღნიშნავს თავისი სახელმწიფოებრიობის 3 ათასწლოვან იუბილეს, ხოლო იმის საუკეთესო დადასტურება, რომ ჩვენ უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ერი ვართ, ის ძეგლებია, რომლებიც დღემდე შემოგვრჩა.

„ამ პროექტში მე ვხედავ მომავალს და თუ მისი მნიშვნელობის გლობალიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი, მე ამაში ვგულისხმობ, რომ გადარჩეს მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურული მემკვიდრეობა. სხვაგვარად ჩვენს პლანეტაზე ცხოვრება არ ღირს", — ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული პროექტი და მთელი ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა ბანკის ხელმძღვანელობას ქართული კულტურისადმი გამოვლენილი განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის თანახმად დამტკიცდეს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თანდართული დებულება.

ე. შევარდნაძე.

საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულება

საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულება შემუშავებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე. დებულება განსაზღვრავს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესს, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების საკითხებს.

I. ზოგადი დებულებები

1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის მიზანი

1.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის საბჭო ქმნის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას და მის შემადგენლობას წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად.

1.2. საგამოცდო კომისიის მიზანია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთა პროფესიული დონის შემოწმება ტესტური და წერითი გამოცდების ჩატარებით.

2. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნა. მისი შემადგენლობის ანონიმურობის უზრუნველყოფა

2.1. კომისია იქმნება საკვალიფიკაციო გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე.

2.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 68-ე მუხლის თანახმად, გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი;
ბ) სისხლის სამართალი;
გ) სისხლის სამართლის პროცესი;
დ) სამოქალაქო სამართალი;
ე) სამოქალაქო სამართლის პროცესი;
ვ) ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;
ზ) ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

2.3. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია იქმნება სამართლის თითოეული დარგის წარმომადგენელი არანაკლებ ორი სპეციალისტისა და კომისიის თავმჯდომარის შემადგენლობით.

2.4. კომისიის შემადგენლობა ანონიმურია და იგი არ შეიძლება გამოცხადდეს გამოცდების დამთავრებამდე.

2.5. საგამოცდო კომისიის წევრის ვინაობის გამჟღავნება თვით ამ კომისიის წევრის მიერ შეიძლება გახდეს მისთვის კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

2.6. გადაწყვეტილებას წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

2.7. გამოცდების შედეგების დამტკიცების შემდეგ კომისია არსებობას წყვეტს.

2.7. ახალი კომისიის ფორმირება ხდება იგივე წესით.

3. საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადების სამდივნო

3.1. საკვალიფიკაციო კომისიის შექმნამდე 60 დღით ადრე, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, იქმნება გამოცდების მომზადების სამდივნო.

3.2. საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადების სამდივნოს მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3.3. სამდივნოს ევალება გამოცდების მოსამზადებლად აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, გამოცდის ჩაბარების მსურველთა განცხადებების მიღება, მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება.

3.4. საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადების სამდივნო, გამოცდების დამთავრებისა და გამოცდის შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ არსებობას წყვეტს.

4. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

4.1. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

4.2. კომისიის თავმჯდომარე ინიშნება გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე.

4.3. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე:

ა) უძღვება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის სხდომებს;

ბ) ისმენს საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადების სამდივნოს ანგარიშს გამოცდების მოსამზადებლად განხორციელებული ღონისძიებების, უშუალოდ გამოცდების მიმდინარეობის შესახებ;

გ) კომისიის წევრებს აცნობს საგამოცდო საკითხების (ტესტების) დადგენილ სტანდარტს და მათთან ერთად შეიმუშავებს წერითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმებს;

დ) უშუალოდ მეთვალყურეობს გამოცდების შედეგების შეფასებისა და ფიქსაციის პროცესს;

ე) კომისიის მიერ გამოცდების შედეგების დამტკიცების შემდეგ აცნობს მას იუსტიციის საბჭოს;

ვ) ხელმძღვანელობს საპრეტენზიო კომისიას.

5. საგამოცდო კომისიის წევრობის პირობები

5.1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო ხარისხი ან სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის 15 წელზე მეტი გამოცდილება.

5.2. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

5.3. იუსტიციის საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი.

6. საგამოცდო კომისიის წევრთა დასახელება

6.1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრებს.

6.2. თითოეულ დასახელებულ კანდიდატურას ცალკე ეყრება კენჭი. კენჭისყრამდე აუცილებელია კომისიის წევრობის კანდიდატთა წერილობითი თანხმობა.

6.3. თუ იუსტიციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმების ერთნაირი რაოდენობა მიიღო, უპირატესობა მიენიჭება იმას, რომელიც იუსტიციის საბჭოს უფრო მეტი წევრის მიერ იყო დასახელებული, აქვს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხი, ანდა პრაქტიკული მუშაობის უფრო დიდი გამოცდილება. ამ გარემოების გათვალისწინება, შესაბამისად, ასეთივე თანმიმდევრობით მოხდება.

II. საკვალიფიკაციო გამოცდები

7. საგამოცდო ფურცელი

გამოცდის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე თითოეულ გამოსაცდელზე გაიცემა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ დამოწმებული საგამოცდო ფურცელი, რომელშიც აღინიშნება კანდიდატის სახელი, გვარი და სხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია პირის იდენტიფიკაციისათვის.

8. გამოცდის ეტაპები. შეფასება.

8.1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ორ ეტაპად: ჯერ ბარდება ტესტური გამოცდა, ხოლო მეორე ეტაპზე – წერითი გამოცდა.

8.2. საგამოცდო წესებიდან გამომდინარე, წერით გამოცდაზე კომისია დაუშვებს მხოლოდ იმ პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ტესტურ გამოცდას. ტესტური გამოცდის წარმატებით ჩაბარებად ჩაითვლება არანაკლებ 75 ქულის დაგროვება (სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი - 0 ქულით, მინიმალური შეფასება არის 0, ხოლო მაქსიმალური 100).

8.3. წერითი გამოცდა ტარდება სამ ტურად. პირველ ტურში ბარდება საკონსტიტუციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები; მეორე ტურში ბარდება სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, ხოლო მესამე ტურში – სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი.

8.4. საგამოცდო ბილეთის ყოველ საკითხს საგამოცდო კომისია ხუთბალიანი სისტემით აფასებს. ბილეთზე დადებითი შეფასების მიღებად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელი მოაგროვებს 10 ქულას (ყოველი საკითხის მაქსიმალური შეფასებაა 5, ხოლო მინიმალური – 0 ქულა. ყოველ ბილეთზე ქულათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 20-ს, ხოლო მინიმალური 0 ქულას). წერითი გამოცდის სამი ტურის შედეგად ქულათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 60-ს, ხოლო წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარებად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელმა სამივე ტურში დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა.

8.5. საგამოცდო კომისია მხოლოდ მაშინ აფასებს ტესტური და წერითი გამოცდების შედეგებს, თუ დაცულია საგამოცდო წესის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ტესტური თუ წერითი ნამუშევარი 0 ქულით შეფასდება, ან გამოსაცდელი საერთოდ მოიხსნება გამოცდებიდან.

8.6. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია საკვალიფიკაციო გამოცდას ჩაბარებულად თვლის, თუ გამოსაცდელმა ჩააბარა როგორც ტესტური, ისე წერითი გამოცდა.

9. საგამოცდო დარბაზში საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა დაუშვებლობა

9.1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადების სამდივნოს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ადგილას.

9.2. საგამოცდო დარბაზში საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა ყოფნა აკრძალულია. გამოცდის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობას ახორციელებენ იუსტიციის საბჭოს მიერ საამისოდ დანიშნული პირები.

9.3. საგამოცდო დარბაზში გამოსაცდელების და სპეციალურად უფლებამოსილი პირების გარდა დაიშვებიან საგამოცდო წესებით გათვალისწინებული პირები.

10. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება გამოსაცდელის გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში

10.1. ტესტური გამოცდის ჩატარებისას საგამოცდო დარბაზში შეტანილი უნდა იქნეს ზუსტად იმდენი საგამოცდო ტესტი, რამდენი კანდიდატიც არის გამოცდებზე დაშვებული.

10.2. ტესტურ გამოცდაზე გამოცხადებულ პირთათვის საგამოცდო ტესტების დარიგების შემდეგ კომისია ითვლის დარჩენილი ტესტების რაოდენობას, ადგენს აქტს და ლუქავს ტესტებს სპეციალურ ყუთში.

10.3. საგამოცდო კომისია არ გაითვალისწინებს გამოცდაზე გამოუცხადებლობის მიზეზს და არ დააკმაყოფილებს გამოსაცდელის მოთხოვნას დამატებითი გამოცდის ჩატარების შესახებ. გამოსაცდელი დაიშვება მომდევნო საშემოდგომო ან საგაზაფხულო გამოცდაზე, რისთვისაც საბუთების ხელმეორედ შეტანა სავალდებულო არ არის.

11. წინასაგამოცდო ინსტრუქტაჟი

11.1. ტესტური და წერითი გამოცდების დაწყებამდე საგამოცდო კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი გამოსაცდელებს უტარებს ინსტრუქტაჟს.

11.2. ინსტრუქტაჟით განიმარტება საგამოცდო წესებში ჩამოყალიბებული ის მოთხოვნები, რომელთა სავალდებულო შესრულება აუცილებელია გამოცდის ნორმალურად ჩატარებისათვის (ტესტების შევსების წესი, წინსართის შევსების წესი, ტესტების ამოხსნის მეთოდიკა, საგამოცდო რვეულის თავფურცლის შევსების წესი, სხვა ტექნიკური საკითხები).

12. საგამოცდო კომისიის მიერ ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმება

12.1. ტესტური გამოცდების პასუხების შეფასებისას მოწმდება თავად ტესტში შემოხაზული პასუხები სპეციალური შიფროგრამის მეშვეობით.

12.2. ტესტს თან ერთვის თავფურცელი, რომელზეც აღინიშნება გამოსაცდელის გვარი, სახელი, ტესტის საიდენტიფიკაციო კოდი. თავფურცელი გამოცდის დამთავრების შემდეგ სცილდება ტესტს და საგამოცდო კომისიის მიერ ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმების დასრულებამდე ილუქება სპეციალურ ყუთში იუსტიციის საბჭოს, სულ ცოტა, ორი წევრის თანდასწრებით. ყუთის გახსნა, სადაც მოთავსებულია ტესტების თავფურცლები, დაიშვება მხოლოდ ტესტის გასწორების შემდეგ.

12.3. ტესტური გამოცდების პასუხების გასწორება ხდება კომპიუტერის ან სხვა საამისოდ გამიზნული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მეთვალყურეობით. ამ დროს ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი დაცულია.

13. საგამოცდო კომისიის მიერ წერითი გამოცდის შედეგების შემოწმება

13.1. წერითი გამოცდის დროს გამოსაცდელს გადაეცემა რვეული, რომლის თავფურცელზეც აღინიშნება გამოსაცდელის გვარი, სახელი, საგამოცდო ბილეთის ნომერი.

13.2. წერითი გამოცდის დამთავრების შემდეგ თითოეული გამოსაცდელი წერით ნამუშევარს აბარებს საგამოცდო კომისიის სპეციალურ წარმომადგენელს.

13.3. ნამუშევრების ჩაბარების შემდეგ ყველა რვეული დაიშიფრება, მოეხსნება თავფურცელი და დაილუქება სპეციალურ ყუთში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ან ამისთვის სპეციალურად უფლებამოსილი პირის მიერ.

13.4. წერით ნამუშევარს ასწორებს მოცემული საგნის ორი სპეციალისტი. საგამოცდო ბილეთის ყოველი პასუხის ბოლოს იწერება შეფასება. ამ შეფასებათა ჯამი აღინიშნება ნაშრომის ბოლოს და დასტურდება კომისიის წევრების მიერ.

13.5. თუ კომისიის წევრთა შეფასებებში სხვაობა მნიშვნელოვანია (3-5 ქულა), გადამწყვეტი იქნება კომისიის თავმჯდომარის თვალსაზრისი.

13.6. ყუთის გახსნა, რომელშიც მოთავსებულია რვეულის თავფურცლები, მოხდება საგამოცდო კომისიის მიერ წერითი ნამუშევრების გასწორების შემდეგ. მანამდე გამსწორებლისათვის უცნობია, თუ ვის ნაშრომს აფასებს. ასევე გამოსაცდელისათვის უცნობია კომისიის იმ წევრის ვინაობა, ვინც მისი წერითი ნამუშევარი გაასწორა. ამ მიზნით კომისიის თითოეულ წევრს მიეცემა სპეციალური კოდი, რომლითაც დასტურდება ყოველი ნაშრომის შედეგი.

13.7. წერითი ნამუშევრების გასწორების შემდეგ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია მოახდენს რვეულების, თავფურცლების და საგამოცდო ბლანკების ინდენტიფიკაციას მათზე აღნიშნული შესაბამისი კოდების (ნომრების) მიხედვით.

13.8. საგამოცდო ნამუშევრების გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ გამოცდის შედეგები შეიტანება საგამოცდო უწყისში. შეტანილი ნიშანი დასტურდება კომისიის წევრის საიდენტიფიკაციო კოდით.

14. საპრეტენზიო კომისია

14.1. გამოსაცდელის პრეტენზიას განიხილავს საპრეტენზიო კომისია.

14.2. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იუსტიციის საბჭოს თანხმობით.

14.3. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებს განიხილავს გამოცდის შედეგების გამოცხადების დღეს, სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ ადგილას. დაგვიანებით შემოსული პრეტენზიები არ განიხილება.

14.4. საპრეტენზიო კომისიაში შედის 7 წევრი.

14.5. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია.

14.6. საპრეტენზიო კომისიისთვის უცნობია, თუ ვისი ნამუშევარი სწორდება.

14.7. საპრეტენზიო კომისია თუ დარწმუნდება, რომ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შეფასება არ არის სწორი, იგი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება, ხოლო საგამოცდო კომისია ამტკიცებს შეცვლილ შეფასებას.

14.8. საპრეტენზიო კომისიის შეფასების ხელმეორედ გასაჩივრება დაუშვებელია.

15. საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები

15.1. როგორც ტესტური, ისე წერითი გამოცდის შედეგები ცხადდება გამოცდის ჩაბარებიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში.

15.2. გამოსაცდელს, რომელმაც ტესტური გამოცდის შედეგად დააგროვა 75 და მეტი ქულა, მიეცემა საგამოცდო ფურცელი, რაც მას წერით გამოცდაზე გასვლის უფლებას აძლევს. იმ პირს, რომელმაც ვერ მოაგროვა ქულათა აუცილებელი რაოდენობა, საგამოცდო ფურცელი არ მიეცემა.

15.3. წერითი გამოცდის ყოველი ტურის შემდეგ კანდიდატებს, რომლებიც მოაგროვებენ ქულათა მინიმალურ რაოდენობას, მიეცემათ საგამოცდო ფურცლები, რაც მათ წერითი გამოცდის მომდევნო ტურზე გასვლის უფლებას აძლევთ.

15.4. ბოლო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატის საგამოცდო ფურცელს იტოვებს საგამოცდო კომისია.

15.5. საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებს ამტკიცებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია.

15.6. გამოცდების შედეგებს, დამტკიცების შემდეგ, განიხილავს იუსტიციის საბჭო.

15.7. პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, იღებენ ლიცენზიას და უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

15.8. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია გამოცდების შედეგებს აქვეყნებს პრესაში.

16. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში

16.1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ეს დებულება გამოიყენება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიების მიმართაც.

16.2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიათა შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის საბჭო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების თანხმობით.

17. გარდამავალი დებულებანი

17.1. ამ დებულების 8.3 – 8.4 პუნქტები ამოქმედდება 2000 წლის 1 იანვრიდან.

17.2. 2000 წლის 1 იანვრამდე წერითი გამოცდა ჩატარდება ერთ ტურად.

17.3. საგამოცდო ბილეთი შედგება შვიდი საკითხისაგან. საგამოცდო კომისია თითოეულ საკითხს აფასებს ხუთქულიანი სისტემით. ბილეთის მაქსიმალური შეფასება არის 35, მინიმალური – 0. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ გამოსაცდელი დააგროვებს სულ ცოტა 20 ქულას.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის თანახმად დამტკიცდეს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თანდართული წესი და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა.

ე. შევარდნაძე.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

თავი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნები

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის საფუძველზე.

2. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია მაღალკვალიფიციური იურისტების შერჩევა შემდგომში მოსამართლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

3. საკვალიფიკაციო გამოცდამ უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება გამოსაცდელი პირი (კანდიდატი) მოსამართლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ, საკმარისია თუ არა მისი თეორიული ცოდნა და შესწევს თუ არა მას უნარი თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს – მიუსადაგოს იგი ცხოვრებისეულ რეალობებს.

მუხლი 2. გამოცდის ჩაბარების უფლების მქონე პირები

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს ოცდასამი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

2. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა“ ან „საერთაშორისო სამართალი“ და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის“ კვალიფიკაცია.

3. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ჩაითვლება ასევე ლიცენზირებული კერძო უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების კურსდამთავრებული, თუ მას სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის“ კვალიფიკაცია და დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ ჩაბარებული აქვს შემდეგი საგნები:

ა. საქართველოს სახელმწიფო (საკონსტიტუციო) სამართალი;
ბ. სისხლის სამართალი;
გ. სისხლის სამართლის პროცესი;
დ. სამოქალაქო სამართალი;
ე. სამოქალაქო სამართლის პროცესი;
ვ. ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;
ზ. სამართლის თეორია.

4. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებში. გამოცდის ჩაბარების უფლებას ასეთი პირი მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ იგი საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარებს სპეციალურ გამოცდას შემდეგ საგნებში:

ა. საქართველოს სახელმწიფო (საკონსტიტუციო) სამართალი;
ბ. საქართველოს სამოქალაქო სამართალი;
გ. საქართველოს სამოქალაქო სამართლის პროცესი;
დ. საქართველოს სისხლის სამართალი;
ე. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი;
ვ. საქართველოს ადმინისტრაციული პროცესი.

ეს წესი არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღეს საბჭოთა კავშირის დროს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში.

მუხლი 3. გამოცდაზე დასაშვებად საბუთების მიღება

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით განცხადების მიღება იწყება პირველი გამოცდის ჩატარებამდე ორმოცდახუთი დღით ადრე და წყდება გამოცდის ჩატარებამდე ათი დღით ადრე. განცხადების მიღების ბოლო დღის შემდეგ საბუთების რეგისტრაციის ჟურნალი ილუქება და დაგვიანებით შემოსული განცხადება არ მიიღება.

2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველს განცხადება შეაქვს იუსტიციის საბჭოს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების სამდივნოში. მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა. განცხადება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ;

ბ. უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ასლი ჩაბარებული საგნების დანართითურთ);

შენიშვნა: საბუთების ჩაბარებისას კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დედანი, რომლის ასლის ნამდვილობის შემოწმების შემდეგ, სამდივნოს თანამშრომელი დიპლომს უბრუნებს კანდიდატს.

გ. ავტობიოგრაფია;

დ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე. ოთხი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

3. გამოცდის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე თითოეულ კანდიდატზე გაიცემა საგამოცდო ფურცელი, რომელშიც აღინიშნება კანდიდატის სახელი, გვარი და სხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია პირის იდენტიფიკაციისათვის.

4. თუ კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს ან წარმოდგენილი საბუთები არ შეესაბამება დადგენილ წესს, კანდიდატის საბუთები არ მიიღება და იგი გამოცდაზე არ დაიშვება.

მუხლი 4. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვადები

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე. საგაზაფხულო გამოცდები ტარდება თებერვალ-მარტში, ხოლო საშემოდგომო – ოქტომბერ-ნოემბერში.

2. საგაზაფხულო გამოცდები იწყება თებერვლის ბოლო შაბათ-კვირას და მთავრდება 20 მარტამდე. საშემოდგომო გამოცდები იწყება ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას და მთავრდება 20 ნოემბრამდე.

მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის ეტაპები

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ბარდება ტესტური გამოცდა, ხოლო შემდეგ – წერითი გამოცდა.

2. წერით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის პირი, რომელიც ჩააბარებს ტესტურ გამოცდას.

3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებად ითვლება როგორც ტესტური, ისე წერითი გამოცდის ჩაბარება.

4. საგაზაფხულო ტესტურ გამოცდაში მიღებული შედეგები საშემოდგომო გამოცდის დროს არ მიიღება მხედველობაში, ასევე – საშემოდგომო ტესტური გამოცდის შედეგები საგაზაფხულო გამოცდის დროს არ გაითვალისწინება.

მუხლი 6. გამოცდის ჩატარების ენა

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

(იხილეთ მე-4 გვ.).

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

(გაგრძელება)

მუხლი 7. გამოცდის ჩაბარება ხელმეორედ

1. თუ პირი მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდას ვერ ჩააბარებს, მას ხელმეორედ გასვლის უფლება ეძლევა ერთი წლის შემდეგ.

2. საკვალიფიკაციო გამოცდის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში ხელმეორედ გასვლის უფლება კანდიდატს ეძლევა ორი წლის შემდეგ.

3. გამოცდის მესამედ ჩაუბარებლობის შემთხვევაში კანდიდატს გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სამი წლის შემდეგ. ასევე სამწლიანი ვადა გამოიყენება საკვალიფიკაციო გამოცდის ყოველი შემდგომი ჩაუბარებლობის შემთხვევაში.

თავი II
ტესტური გამოცდა

მუხლი 8. ტესტური გამოცდის მიზანი

ტესტური გამოცდის მიზანია შეამოწმოს, თუ როგორ იცნობს გამოსაცდელი პოზიტიურ სამართალს, შეუძლია თუ არა მას ალტერნატიული გადაწყვეტებიდან სწორის არჩევა.

მუხლი 9. საგამოცდო ტესტი

1. საგამოცდო ტესტი შედგება ასი საკითხისაგან, რომლებიც აღებულია სამართლის შემდეგი დარგებიდან: საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი, ადამიანის უფლებების სამართალი.

2. საგამოცდო ტესტის ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი, აღწერილობითი ნაწილი, შეიცავს ფაქტობრივი ცხოვრებისეული შემთხვევის აღწერას, ხოლო მეორე ნაწილი – ამ შემთხვევის სამართლებრივი გადაწყვეტის ოთხ შესაძლო ვარიანტს (პასუხს). გამოსაცდელის ამოცანაა გამოიცნოს სწორი პასუხი და შემოხაზოს ამ პასუხის აღმნიშვნელი ანბანის ასო თვითონ ტექსტში და საგამოცდო ტესტის წინსართში, რომელიც ტესტს უძღვის წინ.

3. ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა შემოხაზოს მხოლოდ ერთი პასუხი. თუ შემოხაზულია ერთზე მეტი პასუხი, მაშინ ტესტის ამოხსნა შეფასდება 0-ით. თუ არ არის შემოხაზული არც ერთი პასუხი, ასეთი ამოხსნაც შეფასდება 0-ით.

შენიშვნა: საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ტესტის გასწორებისას აღმოაჩენს შემოუხაზავ პასუხს, ვალდებულია ტესტის ამ საკითხის გასწვრივ წითელი ფერის ფანქრით ან ბურთულებიანი კალმით (პასტით) გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა, რომ პასუხი ბათილია და იმსახურებს შეფასება 0-ს.

შეფასება 0-ს დაიმსახურებს ტესტის ისეთი ამოხსნაც, როცა ტესტის პასუხი გადასწორებულია ან პასუხების შემოხაზვა წინსართსა და ტექსტში არ დაემთხვევა ერთმანეთს.

მუხლი 10. ტესტის საკითხების შეფასება

1. ტესტის ყოველ საკითხზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი კი – 0 ქულით.

2. ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 100.

მუხლი 11. გამსვლელი ქულა

გამოსაცდელი, რომელიც ტესტურ გამოცდაში მოაგროვებს 75 ან მეტ ქულას, გადის შემდეგ ეტაპზე და მას უფლება აქვს ჩააბაროს წერითი გამოცდა.

მუხლი 12. საგამოცდო დრო

1. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ექვსი ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ საგამოცდო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0.

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე. 30-წუთიანი გაფრთხილების შემდეგ არავის არა აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო დარბაზი საგამოცდო ტესტის ჩაბარების გარეშე.

მუხლი 13. საგამოცდო ტესტების დარიგების წესი

1. ტესტური გამოცდის დაწყების წინ ყოველ გამოსაცდელს გადაეცემა დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებულია საგამოცდო ტესტი.

2. კონვერტის გახსნამდე თითოეული გამოსაცდელი ვალდებულია შეამოწმოს კონვერტი. თუ კონვერტი გახსნილია ან ლუქი დაზიანებული ან სხვაგვარად იწვევს ეჭვს კონვერტის მთლიანობა, გამოსაცდელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ვიდრე იგი დაიწყებდეს კითხვებზე პასუხის გაცემას, განაცხადოს ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მას მიეცემა ახალი ტესტი. დაგვიანებით შემოსული პრეტენზია არ მიიღება.

მუხლი 14. სავალდებულო ინსტრუქტაჟი ტესტური გამოცდის დაწყებამდე

საგამოცდო ტესტის კითხვებზე პასუხის გაცემამდე საგამოცდო კომისიის წარმომადგენელი ვალდებულია ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს გამოსაცდელებს, აუხსნას მათ ტესტების ამოხსნის მეთოდიკა, წინსართის შევსების წესი და სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია გამოცდის ნორმალურად ჩატარებისათვის.

მუხლი 15. საკანონმდებლო მასალის გამოყენების აკრძალვა

1. ტესტური გამოცდის განმავლობაში გამოსაცდელს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება. გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მასალის გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0.

2. ტესტურ გამოცდაზე დაუშვებელია პირველ პუნქტში აღნიშნული მასალის, ასევე აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა.

მუხლი 16. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმება

1. ტესტური გამოცდის პასუხები მოწმდება საგამოცდო კომისიის მიერ კომპიუტერის ან სხვა საამისოდ გამიზნული ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

2. გასწორების დროს დაცულია როგორც გამოსაცდელების, ისე გამომცდელების ანონიმურობა: გამომცდელისათვის უცნობია, თუ ვის ნაშრომს ამოწმებს იგი. ასევე გამოსაცდელისათვის უცნობია, თუ ვინ გაასწორა მისი ნაშრომი.

თავი III
წერითი გამოცდა

მუხლი 17. წერითი გამოცდის მიზნები

1. წერითი გამოცდის მიზანია გამოსაცდელის თეორიული ცოდნის დონის, საკანონმდებლო მასალის გამოყენების უნარისა და ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ამ ცოდნის მისადაგების შესაძლებლობის შემოწმება.

2. წერითი გამოცდის საკითხი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს გამოსაცდელის როგორც თეორიული ცოდნის, ისე ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამოვლენა.

მუხლი 18. წერითი გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები

წერითი გამოცდა ტარდება ტესტური გამოცდის შემდეგ და მასზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც ჩააბარეს ტესტური გამოცდა.

მუხლი 19. წერითი გამოცდის ტურები

1. წერითი გამოცდა ტარდება სამ ტურად.

2. პირველ ტურში ბარდება საკონსტიტუციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

3. მეორე ტურში ბარდება სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი.

4. მესამე ტურში ბარდება სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი.

5. ტურებს შორის ვადა არ უნდა იყოს სამ დღეზე ნაკლები.

მუხლი 20. საგამოცდო ბილეთი

1. წერითი გამოცდა ტარდება საგამოცდო ბილეთების ფორმით. თითოეული ბილეთი შედგება ოთხი საკითხისაგან, რომელთაგან ორი არის თეორიული საკითხი, ხოლო ორი – კაზუსი.

2. თეორიულ საკითხზე პასუხის გაცემისას გამოსაცდელს მოეთხოვება საკანონმდებლო მასალის ცოდნა, განსახილველი საკითხის დაკავშირება სხვა სამართლებრივ პრობლემებთან, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზი.

3. კაზუსის ამოხსნის დროს გამოსაცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი კვალიფიკაცია – სამართლებრივი ნორმების მისადაგება ამოსახსნელ კაზუსში მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან. ასევე მან უნდა შეძლოს ამგვარი გადაწყვეტის დასაბუთება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული არგუმენტებით.

მუხლი 21. საგამოცდო ბილეთის შეფასება

1. ბილეთის ყოველი საკითხი ფასდება ხუთქულიანი სისტემით. მაქსიმალური შეფასება არის 5, ხოლო მინიმალური – 0.

2. ყოველ ბილეთზე ქულათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 20-ს, ხოლო მინიმალური რაოდენობა – 0-ს.

3. ბილეთზე დადებითი შეფასების მიღებად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელი მოაგროვებს 10 ქულას.

4. გამოსაცდელი, რომელიც ტურში ვერ მოაგროვებს 10 ქულას, შემდგომ ტურში არ დაიშვება.

მუხლი 22. წერითი გამოცდის შედეგები

1. წერითი გამოცდის სამი ტურის შედეგად ქულათა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 60-ს.

2. წერითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელმა სამივე ტურში დააგროვა სულ ცოტა 30 ქულა.

მუხლი 23. წერითი გამოცდის ჩაბარების დრო

1. წერითი გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ხუთი ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ საგამოცდო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0.

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე. 30 წუთიანი გაფრთხილების შემდეგ არავის არა აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო დარბაზი წერითი ნამუშევრის ჩაბარების გარეშე.

მუხლი 24. საგამოცდო რვეული

1. წერითი გამოცდის დაწყების წინ გამოსაცდელებს დაურიგდებათ საგამოცდო რვეულები იუსტიციის საბჭოს სათანადო აღნიშვნებით.

2. გამოსაცდელს არა აქვს უფლება წერითი ნამუშევარი შეასრულოს სხვა რვეულში, გარდა იმისა, რაც მათ გამოცდის წინ მიეცემათ. სხვა რვეულში შესრულებული ნაშრომი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0.

მუხლი 25. წინასაგამოცდო ინსტრუქტაჟი

წერითი გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო კომისიის წარმომადგენელი ინსტრუქტაჟს უტარებს გამოსაცდელებს, აუხსნის მათ საგამოცდო რვეულის თავფურცლის შევსების წესს და სხვა ტექნიკურ საკითხებს, რომლებიც აუცილებელია გამოცდის ნორმალურად ჩატარებისათვის.

მუხლი 26. საგამოცდო ბილეთის გამოცხადება

1. წერითი გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო კომისიის წარმომადგენელს საგამოცდო დარბაზში შემოაქვს დალუქული კონვერტი ან ყუთი, რომელშიც მოთავსებულია საგამოცდო ბილეთები.

2. საგამოცდო კომისიის წარმომადგენელი გამოსაცდელთაგან მოიწვევს რამდენიმე პირს, რომლებიც შეამოწმებენ, არის თუ არა ყუთი ან კონვერტი სწორად დალუქული. მათი თანდასწრებით გაიხსნება ყუთი (კონვერტი). გამოსაცდელთაგან ერთ-ერთი ამოიღებს საგამოცდო ბილეთს. საგამოცდო კომისიის წარმომადგენელი ხმამაღლა წაიკითხავს საგამოცდო ბილეთის საკითხებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა გამეორდება ორჯერ იმ მიზნით, რომ წერით გამოცდაზე საგამოცდო ბილეთის სამი შესაძლო ვარიანტი იქნეს გამოყენებული.

4. საგამოცდო ბილეთის სამი ვარიანტიდან გამოსაცდელი ამოირჩევს ერთს. სხვადასხვა ბილეთების საკითხების კომბინირება დაუშვებელია.

მუხლი 27. კანონის ტექსტის გამოყენების უფლება

წერითი გამოცდის განმავლობაში გამოსაცდელებს უფლება აქვთ გამოიყენონ კანონის ტექსტები და სხვა ნორმატიული მასალა. აკრძალულია კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა სასწავლო მასალის გამოყენება. გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მასალის გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0.

მუხლი 28. წერითი ნამუშევრის გასწორება

1. წერითი გამოცდის დამთავრების შემდეგ თითოეული გამოსაცდელი წერით ნამუშევარს აბარებს საგამოცდო კომისიის წარმომადგენელს.

2. წერითი ნამუშევრის გასწორება ხდება საგამოცდო კომისიის წევრების მიერ ანონიმურად: გასწორების დროს გამსწორებლისათვის უცნობია, თუ ვის ნაწერს ასწორებს. ასევე გამოსაცდელისათვის უცნობია, თუ ვინ გაასწორა მისი წერითი ნამუშევარი.

თავი IV
საპრეტენზიო კომისია

მუხლი 29. საპრეტენზიო კომისიის მიზანი

1. ტესტური და წერითი გამოცდის ყოველი ტურის შემდეგ საგამოცდო კომისიის შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო კომისიას მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით.

2. პრეტენზია მიიღება გამოცდის შედეგების გამოცხადების დღეს სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ ადგილას. დაგვიანებით შემოსული პრეტენზიები არ განიხილება.

მუხლი 30. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა

1. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია.

2. საპრეტენზიო კომისიისათვის უცნობია, თუ ვისი ნამუშევარი სწორდება.

3. თუ საპრეტენზიო კომისია დარწმუნდება, რომ საგამოცდო კომისიის შეფასება არ არის სწორი, იგი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება.

4. საპრეტენზიო კომისიის შეფასების ხელმეორედ გასაჩივრება დაუშვებელია.

თავი V
გამოცდაზე გამოცხადების წესი და ზედამხედველობა გამოცდის მიმდინარეობაზე

მუხლი 31. გამოცდაზე გამოცხადების დრო

1. გამოცდის დღეს ყველა გამოსაცდელი უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე დილის 8 საათსა და 30 წუთზე. გამოსაცდელებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი და საგამოცდო ფურცელი.

2. პირადობის დამადასტურებელი საბუთისა და საგამოცდო ფურცლის გარეშე გამოცხადებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. 9 საათზე იხურება შენობის შესასვლელი კარები და დაგვიანებული პირები გამოცდაზე არ დაიშვებიან.

მუხლი 32. გამოცდაზე გამოუცხადებლობის შედეგები

1. გამოცდაზე გამოუცხადებლობა პირს უფლებას ართმევს მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზითაა გამოწვ ლი თუ არა.

2. გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევა კანდიდატი დაშვებული იქნება შესაბამისად საშ მოდგომო ან საგაზაფხულო გამოცდაზე. ამისათ საბუთების ხელმეორედ შეტანა სავალდებულო არის.

მუხლი 33. საგამოცდო დარბაზში ადგილის დაკავების წესი

1. საგამოცდო დარბაზში შესვლამდე გამოსაც ლები იღებენ ადგილის ბარათებს და ამ ბარათ ნომრის მიხედვით იკავებენ ადგილს საგამოც დარბაზში.

2. საგამოცდო დარბაზში ადგილის თვითნებურ დაკავების შემთხვევაში გამოსაცდელი მოიხსნება მოცდიდან.

მუხლი 34. საგამოცდო დარბაზში შესვლის უფლება

1. საგამოცდო დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ მოსაცდელები და სპეციალური საშვის მქონე პირ ბი.

2. უცხო პირთა შესვლა საგამოცდო დარბაზში რძალულია.

მუხლი 35. საჯაროობა გამოცდების ჩატარებისას

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას ზოგადოებრივი კონტროლისა და საჯაროობის რუნველყოფის მიზნით გამოცდაზე მეთვალყურ ბად დაიშვებიან საზოგადოებრიობის წარმომად ლები.

2. დაინტერესებულმა პირებმა გამოცდის დაწ ბამდე ათი დღით ადრე უნდა გაიარონ აკრედ ცია საგამოცდო კომისიის სამდივნოში და მიიღ საგამოცდო დარბაზში შესასვლელი საშვი.

3. მეთვალყურეები საგამოცდო დარბაზში დ ვებენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ად ლებს. საგამოცდო პროცესში ჩარევის უფლება არა აქვთ. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევ მეთვალყურე დათხოვილი იქნება საგამოცდო დ ბაზიდან.

თავი VI
მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდები აჭარისა და აფხაზეთის ავტონ მიურ რესპუბლიკებში

მუხლი 36. გამოცდის ჩატარების წესის გამოყენება აფხაზეთსა და აჭარაში

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოც ბი აფხაზეთსა და აჭარაში ტარდება საკვალ კაციო გამოცდის ჩატარების ამ წესის მიხედ

2. აფხაზეთსა და აჭარაში გამოცდის ჩატარ ვადებს განსაზღვრავენ შესაბამისად აფხაზე და აჭარის იუსტიციის საბჭოები საქართვე იუსტიციის საბჭოსთან შეთანხმებით.

თავი VII.
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 37. დამატებითი საკვალიფიკაციო მოცდები

1. საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდ გარდა, 1998 წელს გამოცდა დამატებით ჩატარ ზაფხულში.

2. საზაფხულო გამოცდა დაიწყება მაისის ბო შაბათ-კვირას და გრძელდება 20 ივნისამდე.

3. იმ კანდიდატებს, რომლებმაც ვერ ჩააბარეს ს ვალიფიკაციო გამოცდა, 1998 წელს უფლება აქ ხელმეორედ გავიდნენ საკვალიფიკაციო გამოცდ

მუხლი 38. წერითი გამოცდა გარდამავალ პერიოდში

1. 19-22-ე მუხლები და 23-ე მუხლის პირვე პუნქტი ამოქმედდება 2000 წლის 1 იანვრიდან.

2. 2000 წლის 1 იანვრამდე წერითი გამო ჩატარდება ერთ ტურად.

3. საგამოცდო ბილეთი შედგება შე საკითხისაგან. სამი საკითხი არის თეორიული, ო – კაზუსი.

4. საგამოცდო ბილეთის თითოეული საკი შეფასდება ხუთქულიანი სისტემით. ბილე მაქსიმალური შეფასება არის 35, მინიმალური – გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ გამოსაცდ დააგროვებს სულ ცოტა 20 ქულას.

5. გამოსაცდელს წერითი გამოცდის ჩასაბარებ ეძლევა რვა ასტრონომიული საათი. დრო გადაცილების შემდეგ საგამოცდო კომისიისათ გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი

თემა I. კონსტიტუციის ცნება, დამახასიათებელი ნიშნები და მნიშვნელობა (ზოგადი მიმოხილვა)

კონსტიტუციის ცნება, არსი და იურიდიული მნიშვნელობა. კონსტიტუციის ნორმების ადგილი სამართლის სისტემაში. კონსტიტუცია – მიმდინარე კანონმდებლობის იურიდიული ბაზა. კონსტიტუციის უზენაესობა.

თემა II. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია – ქვეყნის უზენაესი კანონი, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტი. საქართველოს კონსტიტუციის სისტემა. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, მათი სისტემა და თავისებურებანი.

თემა III. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების ცნება და არსი. სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობის ფორმები. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების წესი. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობა. სახელმწიფო და ეკლესია.

თემა IV. მოქალაქეობა

საქართველოს მოქალაქეობის ცნება. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი და საფუძვლები. ორმაგი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები. ბავშვების მოქალაქეობის შეცვლის წესი. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესი. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქმეთა გადაწყვეტის წესი.

თემა V. ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები

საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების ცნება და იურიდიული ბუნება. კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები, მათი რეალიზაციის პირობები და საშუალებები. საჩივრისა და პეტიციის უფლება. სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირთა არაკანონიერი მოქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება. სასამართლო წესით დაცვის უფლება. საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური მოვალეობები. უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში. თავშესაფრის უფლება.

თემა VI. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა

საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი. ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები – ქალაქი, რაიონი, ქალაქის რაიონი, სოფელი, დაბა, თემი.

თემა VII. სახელმწიფო ორგანოთა სისტემა და მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციური პრინციპები

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ცნება და სისტემა. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპი. ხელისუფლების განშტოებათა შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი.

თემა VIII. საქართველოს საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები. საქართველოს საარჩევნო სისტემის სახეები. საარჩევნო პროცესი და მისი სტადიები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საარჩევნო სისტემა, მისი თავისებურებანი.

თემა IX. საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი – საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. უფლებამოსილების ვადა. კომპეტენცია და სტრუქტურა. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი. სადეპუტატო მანდატის ხასიათი. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწ ტის საფუძვლები. პარლამენტის წევრის საქმიანობის გა ტიები. საქართველოს პარლამენტის აქტები. საქართვე პარლამენტის სესიები და პლენარული სხდომები. საკან მდებლო პროცესი და მისი სტადიები.

თემა X. საქართველოს პრეზიდენტი. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა და შემადგენლობა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობებ ქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი. პრეზიდ ტი, როგორც სახელმწიფო მეთაური. პრეზიდენტი, როგო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. პრეზიდენტი, გორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთა სარდალი. ეროვნული უშიშროების საბჭო, როგორც პრეზიდ ტის სათათბირო ორგანო. საქართველოს პრეზიდენტის კო ტენცია. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი სახელმწიფო ორ ნოების ფორმირების პროცესში. პრეზიდენტის უფლებამოსილე ბანი, დაკავშირებული პარლამენტის საქმიანობასთან. სუ ზიური ვეტოს უფლება. საქართველოს პრეზიდენტის თან ბობიდან გადაყენების წესი (იმპიჩმენტი). საქართველოს პრ დენტის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.

საქართველოს მთავრობა, როგორც პრეზიდენტთან ა სებული სათათბირო ორგანო. აღმასრულებელი ხელის ლების (მთავრობის) ფორმირების წესი და შემადგენლ მთავრობის წევრთა უფლებამოსილების მოხსნის (გა გომის) წესი და პირობები.

თემა XI. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები

სასამართლო ხელისუფლების სისტემა. მართლმსაჯ ბის განხორციელება და საკონსტიტუციო სამართალწა ება. საერთო სასამართლოების სისტემა.

საქართველოს იუსტიციის საბჭო, როგორც პრეზიდ სათათბირო ორგანო.

(იხილეთ მე-5 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკა
№ 312. შაბათი, 13 დეკემბერი, 1997 წელი.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა

(გაგრძელება)

საქართველოს უზენაესი სასამართლო. მისი ფორმირების წესი და უფლებამოსილება. აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების შექმნის წესი და უფლებამოსილებები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების სამართლებრივი მდგომარეობა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები.

მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის წესი. კომპეტენცია. საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების პროცესი. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინებით შესვლის უფლება.

მოსამართლეთა საქმიანობის კონსტიტუციური გარანტიები.

საქართველოს პროკურატურა, როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება. მისი შექმნის წესი და ფუნქციები.

თემა XII. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სისტემა. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება.

ლიტერატურა:

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.

კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ.

კანონი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ.

კანონი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შესახებ.

კანონი რეფერენდუმის შესახებ.

კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ.

კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ.

კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ.

კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ.

კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ.

კანონი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

კანონი მოქალაქეობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ.

აბესაძე ა., საქართველოს ტერიტორიული მართვის კონსტიტუციური პრობლემები, პროფ. გ. ინწკირველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1996 წ, გვ. 106-111.

აბესაძე ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 1996, ჟურნ. „სამართალი", №1–2.

ლორია ა., მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 1996.

ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1995.

მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალი, თბ., 1995.

მელქაძე ო., სიახლეების შესახებ ქართულ კონსტიტუციონალიზმში პროფ. გ. ინწკირველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.

მელქაძე ო., საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996.

მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ჟურნ. „სამართალი", 1991, №3,4,5.

ნაკაშიძე ბ., თვითმმართველობა საქართველოში – სამართლებრივ-პოლიტიკური პრობლემები, ბათუმი., 1994.

სავანელი ბ., ხელისუფლების განაწილების პრინციპი და ადამიანის კონსტიტუციური გარანტიები, „სამართლის რეფორმა საქართველოში", 1994.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგ. გრ. ერემოვი, თბ., 1993.

სურგულაძე ი., სახელმწიფო, ჟურნ. „სამართალი", 1996 წ. №7–8

უტკარაძე ი., უშუალო დემოკრატიის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში, ჟურნ. „სამართალი", 1992, №12, გვ. 2-8.

უტკარაძე ი., ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო წყობილება, ჟურნ. „სამართალი", 1991, გვ.10.

ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1996.

ცნობილაძე პ., სამართლის ნორმები და წესრიგის დამყარება საზოგადოებაში, ჟურნ. „სამართალი", 1993, №3–4.

ცნობილაძე პ., სახელმწიფოს პრობლემა თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში, ჟურნ. „სამართალი", 1992, №12, გვ. 9-17.

ჭანტურია ლ., ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მომავალი კონსტიტუცია, ჟურნ. „სამართალი", 1993 წ., №5-6.

ჯინჯოლავა გ., საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბილისი, 1993.

ჯინჯოლავა გ., საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია 1995 წლის კონსტიტუციით, პროფ. გ. ინწკირველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 90-99.

სისხლის სამართალი

თემა I. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ცნება. განსხვავება სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა სახეებისაგან. განსხვავება მორალური პასუხისმგებლობისაგან. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები.

თემა II. სისხლის სამართლის პრინციპები

თემა III. სისხლის სამართლის კანონი

სისხლის სამართლის კანონის ცნება. სისხლის სამართლის კოდექსის სისტემა. სისხლის სამართლის სტრუქტურა (დისპოზიცია და სანქცია; მათი სახეები). სისხლის სამართლის კანონის განმარტება:
ა) იურიდიული ძალის მიხედვით;
ბ) განმარტების ხერხის მიხედვით;
გ) განმარტების მოცულობის მიხედვით.

ანალოგია და მისი გამოყენების სფერო სისხლის სამართალში. ანალოგია და გავრცობითი განმარტება. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში. მისი ძალაში შესვლა და ძალის დაკარგვა. დანაშაულის ჩადენის დროის განსაზღვრა. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა. სისხლისსამართლის კანონის მოქმედება სივრცეში. დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრა. სისხლის სამართლის კანონი და საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაული. დამნაშავის გადაცემა და თავშესაფრის უფლება.

თემა IV. დანაშაული

დანაშაულის ცნება. დანაშაულის კლასიფიკაცია. ერთიანი დანაშაულის სახეები:
ა) დენადი დანაშაული;
ბ) განგრძობადი დანაშაული.

დანაშაულის სიმრავლე:
ა) არაერთგზისი დანაშაული;
ბ) დანაშაულთა ერთობლიობა;
გ) დანაშაულის რეციდივი.

თემა V. დანაშაულის შემადგენლობა

დანაშაულის შემადგენლობის ცნება. დანაშაულის შემადგენლობის სახეები. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები და მათი კლასიფიკაცია. დანაშაულის კვალიფიკაციის ცნება და მნიშვნელობა.

თემა VI. დანაშაულის ობიექტი

დანაშაულის ობიექტის ცნება. დანაშაულის ობიექტის სახეები (ზოგადი, გვაროვნული, უშუალო). დანაშაულის საგანი; მისი განსხვავება დანაშაულის უშუალო ობიექტისაგან.

თემა VII. დანაშაულის ობიექტური მხარე

დანაშაულებრივი ქმედება, როგორც ადამიანის ქცევის აქტი. ნებელობითი და იმპულსური ქმედება. დაუძლეველი ძალა და ფიზიკური იძულება, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ნებელობითი ხასიათის გამომრიცხავი გარემოებანი. ფსიქიკური იძულების საკითხი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმპულსური ქცევისათვის. აფექტური ქცევა. დანაშაულებრივი შედეგი. მიზეზობრივი კავშირი; მიზეზობრივი კავშირის სპეციფიკა უმოქმედობისას. დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, დრო, ადგილი და ვითარება, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ელემენტები.

თემა VIII. დანაშაულის სუბიექტი

დანაშაულის სუბიექტის ცნება და სახეები. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი. შერაცხადობა და შეურაცხადობა. იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც სულიერად დაავადდნენ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის.

თემა IX. დანაშაულის სუბიექტური მხარე

დანაშაულის სუბიექტური მხარის ზოგადი დახასიათება. სუბიექტური მხარის ელემენტები. ბრალის ცნება და მნიშვნელობა. მისი ფსიქოლოგიური და შეფასებითი ელემენტები. განზრახი დანაშაული და მისი სახეები. გაუფრთხილებლობითი დანაშაული და მისი სახეები. შერეული ანუ ორმაგი ბრალი. შეცდომა და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში. შეცდომის ზეგავლენა ბრალის ფორმასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. დანაშაულის მოზანი და მოტივი. მიზნისა და მოტივის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. ემოცია და მისი გავლენა დანაშაულის სუბიექტურ მხარეზე.

თემა X. დაუმთავრებელი დანაშაული

თანაფარდობა დამთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულს შორის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. დანაშაულის მომზადება. მისი გამიჯვნა განზრახვის გამომჟღავნებისაგან. მომზადების დასჯადობა. დანაშაულის მცდელობა. მისი გამიჯვნა დამთავრებული დანაშაულისა და დანაშაულის მომზადებისაგან. მცდელობის სახეები: დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. უვარგისი მცდელობა და მისი სახეები. უვარგისი მცდელობის დასჯადობა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. მისი გამიჯვნა ქმედითი მონანიებისაგან. თანამონაწილეთა ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე.

თემა XI. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

ამსრულებლობა; შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. თანამონაწილეობა. თანამონაწილეობის სახეები (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა. ამსრულებლის ექსცესი. დანაშაულის შემხებლობა (დაფარვა, განუცხადებლობა, მიმნებებლობა). ჯგუფური დანაშაული.

თემა XII. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

ზოგადი მოძღვრება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა შესახებ. აუცილებელი მოგერიება. უკიდურესი აუცილებლობა. ბრძანების ან მოვალეობის შესრულება. სხვა გარემოებანი.

თემა XIII. სასჯელი

სასჯელის მიზნები. სასჯელის სახეები. ჯარიმა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. უვადო თავისუფლების აღკვეთა. სხვა სასჯელები.

თემა XIV. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები. შემამსუბუქებელი გარემოებანი. დამამძიმებელი გარემოებანი. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. სასჯელი დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. სასჯელი ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისათვის. სასჯელი რეციდივის დროს. სასჯელი დანაშაულთა ერთობლიობის დროს. სასჯელის დანიშვნა რამდენიმე განაჩენით. სასჯელთა შეკამების წესი. სასჯელის ვადის გაანგარიშება და სასჯელის ჩათვლა. პირობითი მსჯავრი.

თემა XV. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

დაზარალებულთან შერიგების გამო. ვითარების შეცვლის გამო. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

თემა XVI. სასჯელისაგან გათავისუფლება

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო. ორსული ქალის და მცირეწლოვანი შვილის დედის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო.

თემა XVII. ამნისტია

თემა XVIII. შეწყალება

თემა XIX. ნასამართლობა

თემა XX. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი

თემა XXI. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ

დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (მკვლელობა). სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. თვითმკვლელობამდე მიყვანა.

თემა XXII. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

სხეულის დაზიანება. ცემა. წამება.

თემა XXIII. სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაული

მოკვლის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მუქარა. ვენერიული სენის შეყრა. შიდსის შეყრა. უკანონო აბორტი. საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება. განსაცდელში მიტოვება. ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა.

თემა XXIV. დანაშაული ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ

თემა XXV. დანაშაული პატივისა და ღირსების წინააღმდეგ

ცილისწამება. შეურაცხყოფა.

თემა XXVI. სქესობრივი ხელშეუხებლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

თემა XXVII. დანაშაული კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ

თემა XXVIII. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

თემა XXIX. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, აგრეთვე, სხვა ორგანიზაციის ინტერესების წინააღმდეგ

თემა XXX. დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში და საფინანსო საქმიანობის სფეროში

თემა XXXI. ნარკოტიკული დანაშაული

თემა XXXII. ეკოლოგიური დანაშაული

თემა XXXIII. დანაშაული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ

თემა XXXIV. სამოხელეო დანაშაული

თემა XXXV. დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ

თემა XXXVI. დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ

თემა XXXVII. დანაშაული კაცობრიობის, მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ

ლიტერატურა:

სისხლის სამართლის კოდექსი.

ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976 წ., რედ. პროფ. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობით ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974 წ.

ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი). 1996 წ.

მაყაშვილი კ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980 წ.

მაყაშვილი კ., ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, 1964 წ.

სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი. დანაშაული, თბ., 1997 წ.

სურგულაძე ლ., დანაშაული, თბ., 1974 წ.

ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, 1965 წ.

ტყეშელიაძე გ., სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის კანონი, თბ., 1975 წ. (რუსულად).

უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თსუ., 1983 წ.

უგრეხელიძე მ., გაუფრთხილებელი ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში, მოსკოვი, 1976 წ. (რუსულად).

შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემობანი საქართველოს კანონმდებლობაში. 1968 წ.

წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969 წ.

წერეთელი თ., მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, მოსკოვი, 1976 წ. (რუსულად).

წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961 წ.

წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965 წ.

წულაია ზ., სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, თბ., 1996 წ.

სისხლის საპროცესო სამართალი

თემა I. სისხლის საპროცესო სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

საქართველოს სისხლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში. საქართველოს სისხლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოს სისხლის საპროცესო სამართლის კანონის გამოყენების შემთხვევები და წესი. საქართველოს სისხლის საპროცესო კანონის მოქმედება უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე, აგრეთვე დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირების მიმართ და დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ დაკავებულ შენობებსა და ტერიტორიებზე.

თემა II. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

პიროვნების ხელშეუხებლობა სისხლის სამართლის პროცესში. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში. საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

თემა III. სისხლისსამართლებრივი დევნა

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის არსი. კერძოსაჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა. კერძო და სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის არსი.

თემა IV. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და აღძრული საქმის შეწყვეტის საფუძვლები. სისხლის სამართალწარმოების შეჩერების საფუძვლები და წესი.

თემა V. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში

სამოქალაქო სარჩელი და მისი წარდგენის საფუძველი, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის წესი. სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობისა და სამოქალაქო მოპასუხედ ჩაბმის წესი. უარი სამოქალაქო სარჩელზე. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება და უარყოფა.

თემა VI. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი

სასამართლოს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, უფლებამოსილებები. ერთპიროვნული და კოლეგიური განხილვა სასამართლოში. განსჯადობა.

თემა VII. პროკურორი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე

პროკურატურის ფუნქციები და მათი შინაარსი სისხლის სამართლის პროცესში. პროკურორის, როგორც მოკვლევაზე ზედამხედველისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, უფლებამოსილებები. პროკურორის უფლებამოსილებანი სასამართლოში.

თემა VIII. გამომძიებელი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე

უწყებრივი, პერსონალური და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა. გამომძიებლის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში. გამომძიებლის უფლებამოსილებები. გამომძიებელი და მომკვლევი. გამომძიებელი და პროკურორი.

თემა IX. მოკვლევის ორგანოები და მომკვლევი, როგორც პროცესის მონაწილე

მოკვლევის ორგანოების ამოცანები. მოკვლევა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. მოკვლევის ორგანოები. მოკვლევის ორგანოსა და მომკვლევის უფლებამოსილებები სისხლის სამართლის პროცესში.

თემა X. დაზარალებული, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე

პირის ცნობა დაზარალებულად. დაზარალებულის და მისი უფლებამონაცვლის უფლებამოსილებები სისხლის სამართლის პროცესში. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის მოვალეობები. დაზარალებულის წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში.

თემა XI. ეჭვმიტანილი და ბრალდებული, როგორც პროცესის მონაწილეები

პირის ცნობა ეჭვმიტანილად. პირის ეჭვმიტანილად ცნობასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებანი და მათი ჩატარების წესები. ეჭვმიტანილის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. ეჭვმიტანილის საპროცესო მოვალეობები და მათი დარღვევის შედეგები. პირის ბრალდებულად ცნობა. ბრალდებულის უფლებები და მოვალეობები.

თემა XII. დამცველი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე

დამცველი სისხლის სამართლის პროცესში. დაცვა შეთანხმებით. დაცვა დანიშვნით. იძულებითი დაცვა. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დამცველის დაშვება, მისი მოწვევისა და შეცვლის მოთხოვნის გადაწყვეტა. დამცველის უფლებამოსილებები სისხლის სამართლის პროცესში.

თემა XIII. სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები

სამოქალაქო მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, როგორც პროცესის მონაწილეები, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები. სამოქალაქო მოპასუხე და მისი მოპასუხე და მისი წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები.

თემა XIV. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები

მოწმე, როგორც პროცესის მონაწილე; მისი უფლებები, მოვალეობები, საქმეში მოწმედ მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები. მოწმედ ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ. ექსპერტი და სპეციალისტი, როგორც პროცესის მონაწილეები და მათი უფლება-მოვალეობები.

თემა XV. პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები. აცილება და თვითაცილება სისხლის სამართლის პროცესში

გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ საქმეში მოსამართლის (მსაჯულის), პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევისა და სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობას. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ საქმეში დამცველის, დაზარალებულის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის მონაწილეობას. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამსწრის მონაწილეობას. განცხადება აცილებისა და თვითაცილების შესახებ, მათი გადაწყვეტის წესი.

თემა XVI. მტკიცებულებანი სისხლის სამართლის პროცესში

დაუშვებელი მტკიცებულებანი. გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე. გარემოებები, რომლებიც დგინდება მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე და პრეიუდიციები. ბრალდებულის ჩვენება, როგორც მტკიცებულება. ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება. ნივთიერი მტკიცებულებები პროცესში და მათთან დაკავშირებულ საპროცესო მოქმედებათა რეგლამენტაცია.

თემა XVII. მტკიცების პროცესი

მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა სისხლის სამართლის საქმეზე. მტკიცებულებათა დამაგრება, შემოწმება და შეფასება.

თემა XVIII. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეები და ღონისძიებები. მოპყრობა იმ პირისადმი, რომლის მიმართ გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობები. დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უზრუნველყოფა მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ოჯახის წევრის, ნათესავის ან სხვა ახლობელი პირისათვის შეტყობინების შესაძლებლობებით. სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების საფუძველი, წესი და პირობები. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი.

თემა XIX. დაკავების, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების, გამოყენება

დაკავება, როგორც საპროცესო იძულების ღონისძიება, მისი გამოყენების პირობები, საფუძველი და წესი. დაკავების საპროცესო წესი. დაკავების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. დაკავებისაგან გათავისუფლების საფუძველი და წესი.

თემა XX. აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში

აღკვეთის ღონისძიებების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და საერთო პირობები. პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების საფუძველი და პირობები, პატიმრობიდან გათავისუფლება. შინაპატიმრობა. აღკვეთის ღონისძიებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაპატიმრებასა და შინაპატიმრობასთან.

თემა XXI. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, როგორც სამართალწარმოების სტადია, საქმის აღძვრის საბაბი, საფუძველი და წესი

თემა XXII. წინასწარი გამოძიების წარმოების საერთო პირობები

თემა XXIII. ბრალდების წარდგენა და შეცვლა. ბრალდებაზე უარის თქმა

თემა XXIV. საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში

საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების ზოგადი საკითხები. დაკითხვა და დაპირისპირება, როგორც საგამოძიებო მოქმედება, მისი ჩატარების პირობები და წესები. მოწმის დაკითხვა. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა.

თემა XXV. ამოღება და ჩხრეკა

ამოღებისა და ჩხრეკის წარმოების საფუძველი, წესი და პირობები. პირადი ჩხრეკა და ამოღება. საფოსტო-სატელეფონო გზავნილების დათვალიერება, დაყადაღება და ამოღება.

(იხილეთ მე-6 გვ.).

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა

(გაგრძელება)

თემა XXVI. შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობისა და შენობების დათვალიერების წარმოების საფუძველი და წესები

თემა XXVII. ამოცნობისათვის პირის წარდგენისა და ჩატარების საფუძველი და წესები

თემა XXVIII. ექსპერტიზა სისხლის სამართლის პროცესში

ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტიზის სავალდებულო დანიშვნა, ექსპერტიზის ობიექტები. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების საპროცესო წესები. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უფლებები ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარებისას. ექსპერტის დასკვნა, მისი ფორმები, ექსპერტის დასკვნის შეფასება.

თემა XXIX. წინასწარი გამოძიების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველი და წესები

თემა XXX. წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნის საპროცესო წესები. საბრალდებო დასკვნა.

თემა XXXI. სამართალში მიცემა, როგორც სამართალწარმოების სტადია

სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიღების წესები, საქმის წინასწარი მოსმენა. სამართალში მიცემისას სტადიაზე გამოტანილი დადგენილების სახეები. საქმის მოსმენისათვის მომზადება სამართალში მიცემის შემდეგ.

თემა XXXII. სასამართლო განხილვის საერთო პირობები, პრინციპები და წესები

თემა XXXIII. სასამართლო გამოძიება

სასამართლო გამოძიების დაწყების ეტაპზე გასარკვევი და გადასაწყვეტი საკითხები. მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის წესები სასამართლო გამოძიებისას. განსასჯელისა და მოწმის დაკითხვის წესები სასამართლო გამოძიებისას. ექსპერტიზა სასამართლოში. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა.

თემა XXXIV. განაჩენის დადგენა

განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები. მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი. განაჩენის სახეები, მათი დახასიათება. გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის შედგენის წესი.

თემა XXXV. საქმის წარმოება სააპელაციო ინსტანციაში

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტები, ვადები და წესები. სააპელაციო საჩივრების განმხილველი სასამართლოები. სააპელაციო საჩივრის სახეები, მისი შინაარსი. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მონაწილეები. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილებათა სახეები. სააპელაციო სასამართლოში განაჩენის შეცვლის ან გაუქმების საფუძვლები, შებრუნება საუარესოდ.

თემა XXXVI. საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში

საკასაციო გასაჩივრების საგანი. საკასაციო საჩივრის შეტანის, განხილვის წესები და ვადები. საკასაციო საჩივრის სახეები, საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლოები. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საჩივრებისა და საქმის განხილვის წესი. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეები. საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლები, მათი დახასიათება. საქმის შებრუნება საუარესოდ კასაციაში. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების შინაარსი.

თემა XXXVII. სისხლის სამართლის საქმეებზე სარევიზიო გასაჩივრება

რევიზიის წესით საჩივრის შეტანის წესები და ვადები. სარევიზიო გასაჩივრების საგანი. რევიზიის წესით შეტანილი საჩივრის განხილვის წესები და ვადები. სისხლის სამართლის საქმის განხილვა სარევიზიო წესით. სარევიზიო საქმის განხილვა სარევიზიო წესით. სარევიზიო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმის შებრუნება საუარესოდ საკასაციო ინსტანციაში.

თემა XXXVIII. განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა ახლად გამოვლენილი და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო

ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა სახეები და მათი დამოწმება. ახალ გარემოებათა გამო საჩივრის შეტანა, მისი შემოწმება, წარმოების აღძვრა და გამოძიება. ახალ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესები. მოსამართლის მოქმედება საჩივრის გამო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო პროცესის მონაწილის საჩივრისა და გენერალური პროკურორის დასკვნის განხილვის შედეგები.

თემა XXXIX. სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება

განაჩენის, განჩინებისა და მოსამართლის დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა. მსჯავრდებულის უფლებების უზრუნველყოფა განაჩენის აღსრულებისას. განაჩენის აღსრულების გადავადება. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველი და სახეები. პირობითი მსჯავრის გაუქმება, გამოსაცდელი ვადის გაგრძელება. სასამართლო რომელიც წყვეტს აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასამართლოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესი. ნასამართლობის მოხსნის საკითხთა განხილვა.

თემა LX. ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამო წარმოების თავისებურება

კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების წესები. არასრულწლოვანის დანაშაულზე საქმის წარმოების წესები. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების გამოყენების შესახებ საქმის წარმოების წესები.

ლიტერატურა:
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სამოქალაქო სამართალი

თავი პირველი
ზოგადი ნაწილი

თემა I. ზოგადი დებულებანი

სამოქალაქო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში – კერძო და საჯარო სამართალი. სამოქალაქო კანონმდებლობა. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში. კანონისა და სამართლის ანალოგია. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა. სამოქალაქო კანონთა მიზანი.

კერძო სამართლის სისტემა. სამოქალაქო კოდექსის სისტემა. ზოგადი ნაწილის ცნება, მნიშვნელობა და სახეები.

დისპოზიციური და იმპერატიული ნორმები სამოქალაქო სამართალში.

თემა II. პირები სამოქალაქო სამართალში

ა) ფიზიკური პირები

უფლებაუნარიანობა. ქმედუნარიანობის ცნება და მნიშვნელობა. ქმედუუნაროდ პირის მიჩნევის საფუძვლები (ასაკი, ჯანმრთელობა). შეზღუდული ქმედუნარიანობა.

სახელის უფლება. სამოქალაქო სახელი. კომერციული სახელი.

პირადი არაქონებრივი უფლებები: სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია.

უფლება საკუთარ გამოსახულებაზე. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ.

საცხოვრებელი ადგილი. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. საცხოვრებელი ადგილი და საპოლიციო რეგისტრაცია. არჩევით საცხოვრებელი ადგილი და კანონით საცხოვრებელი ადგილი. საცხოვრებელი ადგილის გაუქმების დაუშვებლობა პირის ნების საწინააღმდეგოდ.

პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად მისი შედეგები.

პირის გამოცხადება გარდაცვლილად და მისი შედეგები.

ბ) იურიდიული პირები

იურიდიული პირის ცნება და ნიშნები. იურიდიული პირის სახეები: კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათი მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა. ზოგადი და სპეციალური უფლებაუნარიანობა.

კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელწოდება (საფირმო სახელწოდება).

კავშირისა და ფონდის დაფუძნება, რეგისტრაცია, წესდების სამართლებრივი ბუნება, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. კავშირისა და ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. კავშირისა და ფონდის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

კავშირის მართვის ორგანოები: კავშირის წევრთა საერთო კრება, გამგეობა, კომისიები, საკონსულტაციო ორგანოები. კავშირის წევრობა.

არარეგისტრირებული კავშირი.

ფონდის მართვის ორგანოები: გამგეობა, სამეთვალყურეო ორგანო (კურატორიუმი). ფონდი დესტინატერებისათვის. ფონდში შესატანის უზრუნველყოფის ვალდებულება. ფონდის მიზნის შეცვლა.

თემა III. გარიგებანი

ზოგადი ნორმები გარიგებათა შესახებ

გარიგების ცნება. ნების გამოვლენის ნამდვილობა. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი. გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ნების გამოვლენის არასერიოზულობის, ქმედუნარობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. გარიგების კონვერსია. გარიგების ნაწილის ბათილობა. დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას.

ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა.

არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება. არასრულწლოვანის ემანსიპაცია. წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება.

გარიგების ფორმა

საცილო გარიგებანი

შეცდომით დადებული გარიგებანი. მოტყუებით დადებული გარიგებანი. იძულებით დადებული გარიგებანი.

პირობითი გარიგებანი

პირობითი გარიგების ცნება. ამორალური პირობა. ნებაზე დამოკიდებული, პოზიტიური და ნეგატიური პირობა. გარიგებები გადადების და გაუქმების პირობით.

თანხმობა გარიგებებში

წარმომადგენლობა გარიგებებში.

თემა IV. უფლების განხორციელება

უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი. თვითდახმარება.

თემა V. ვადები. ხანდაზმულობა

ვადების გამოთვლა. ხანდაზმულობა. მოთხოვნები, რომლებზედაც ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. ხანდაზმულობის ვადები. ხანდაზმულობის ვადის დაწყება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით.

თავი მეორე
სანივთო (ქონებრივი) სამართალი

თემა I. ქონება

ქონების ცნება. ნივთის სახეები. არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ცნება. აქცესორული და შეზღუდული უფლებები. ნივთისა და უფლების ნაყოფი.

თემა II. მფლობელობა

მფლობელობის ცნება და სახეები. მფლობელობის შეწყვეტა, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია. კეთილსინდისიერი მფლობელი, მისი უფლებები, არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელისა და არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობანი. საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით.

თემა III. საკუთრება

საკუთრების უფლების შინაარსი. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება. მესაკუთრის მიერ ნივთით სარგებლობის ხელისშემშლელი მოქმედების აღკვეთის მოთხოვნა. საერთო საკუთრება.

თემა IV. სამეზობლო სამართალი

სამეზობლო სამართლის ცნება. სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულება, კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის. საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა, უფლება ნაყოფზე, აუცილებელი გზა. სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა. სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება.

თემა V. საკუთრების შეძენა და დაკარგვა

საკუთრების შეძენა უძრავ ნივთებზე. საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთებზე. პირობადადებული საკუთრება. საკუთრების შეძენა უპატრონო ნივთზე. ნაპოვარი. განძი. თანასაკუთრება შერწყმის შედეგად წარმოშობილ ნივთზე. თანასაკუთრება მასალის გადამუშავების შედეგად შექმნილ ახალ ნივთზე. ახალი მესაკუთრისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

თემა VI. საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე

უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის ცნება და შინაარსი. მოთხოვნის დათმობა. ვალის გადაკისრება.

თემა VII. ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში.

მრავალბინიან სახლებში ბინის საკუთრების ცნება. ბინის უპირატესი შესყიდვის უფლება. წილის განსაზღვრა საერთო საკუთრებაში. ბინის საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ურთიერთობანი ბინის მესაკუთრეთა შორის.

თემა VIII. სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა

ა) აღნაგობა

აღნაგობის ცნება. აღნაგობის უფლების წარმოშობის საფუძვლები.

აღნაგობის უფლების გასხვისება. საზღაური აღნაგობის უფლებისათვის. აღნაგობის უფლების რეგისტრაცია. აღნაგობის უფლების შეწყვეტა.

ბ) უზუფრუქტი

უზუფრუქტის ცნება. უზუფრუქტის სახეები. უზუფრუქტუარის უფლება-მოვალეობანი. უზუფრუქტის შეწყვეტა.

გ) სერვიტუტები

სერვიტუტის ცნება. სერვიტუტის პირობები. ნაგებობის მოვლის ვალდებულება. მიწის გაყოფის შედეგები. უფლებამოსილი პირის უფლებების დაცვა. პირადი სერვიტუტი.

თემა IX. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

ა) გირავნობა

ცნება. მოძრავი ნივთებისა და ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესი. გირავნობა მფლობელობის გადაცემით. გირავნობის უფლების გადასვლა ახალ კრედიტორზე. გირავნობის გაუქმების საფუძვლები. გირავნობის საგნის რეალიზაცია. გირაოს გასხვისების შედეგები.

ბ) იპოთეკა

ცნება. საერთო იპოთეკა. იპოთეკის რეგისტრაცია. ნივთის დატვირთვა იპოთეკით რამდენჯერმე. მესაკუთრის უფლება კრედიტორის დაკმაყოფილებისას. იპოთეკის გადასვლა ახალ კრედიტორზე. იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის წესი. ნივთის იძულებით მართვა (სეკვესტრი).

თემა X. საჯარო რეესტრი

საჯარო რეესტრის დანიშნულება. რეესტრში ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა.

თავი მესამე
ვალდებულებითი სამართალი
ზოგადი ნაწილი

თემა I. ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ

ვალდებულების ცნება და სახეები. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების მომზადების საფუძველზე. ხელშეკრულების დასადებად გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

თემა II. ზოგადი დებულებანი ხელშეკრულებათა შესახებ

ხელშეკრულების ცნება და სახეები. ხელშეკრულების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

თემა III. ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულების დადების წესი (ოფერტი, აქცეპტი). ქუჩაში ხელშეკრულების დადების თავისებურება.

თემა IV. ხელშეკრულების შინაარსი

ხელშეკრულების პირობები (არსებითი, ჩვეულებრივი, შემთხვევითი პირობები). ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები.

თემა V. ხელშეკრულებიდან გასვლა

თემა VI. ვალდებულების შესრულება

თემა VII. ვალდებულების დარღვევა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე. მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს.

თემა VIII. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მოვალეობა. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ზიანის ოდენობის განსაზღვრა. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში.

თემა IX. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები

პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია.

თემა X. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა მისი შესრულებით, ნოვაციით, დეპონირებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატიებით. ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება. ვალდებულების შეწყვეტა მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების გამო. ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო.

თემა XI. კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებებში

სოლიდარული კრედიტორები. სოლიდარული მოვალეები.

განსაკუთრებული ნაწილი

თემა XII. ნასყიდობის ხელშეკრულება

ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. გამყიდველისა და მყიდველის უფლებები და მოვალეობები. ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა. ნასყიდობა გადახდის განვადებით. გამოსყიდვის უფლება. ოფცია. უპირატესი შესყიდვის უფლება. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით.

თემა XIII. გაცვლის ხელშეკრულება

თემა XIV. ჩუქების ხელშეკრულება

ჩუქების ხელშეკრულების ცნება. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება. შეწირულობა. ჩუქების გაუქმება და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა.

თემა XV. ქირავნობის ხელშეკრულება

ქირავნობის ხელშეკრულების ცნება. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.

თემა XVI. ლიზინგის ხელშეკრულება

თემა XVII. იჯარის ხელშეკრულება

იჯარის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მისი განსხვავება ქირავნობის ხელშეკრულებისაგან. მიწის იჯარა ინვენტართან ერთად. იჯარის ხელშეკრულების მოშლა.

თემა XVIII. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება

ცნება და შინაარსი. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულების შეწყვეტა.

თემა XIX. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება

თემა XX. სესხის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულების ცნება. სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობა. პროცენტი სესხისათვის. ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება. სესხის შეპირება. ხელშეკრულების შეწყვეტა.

თემა XXI. ნარდობის ხელშეკრულება

ნარდობის ხელშეკრულების ცნება. ანაზღაურების ოდენობა. გირავნობის უფლება მენარდის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ ნივთებზე. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. მენარდის რისკი. ხელშეკრულების მოშლა.

თემა XXII. ტურიზმის ხელშეკრულება

თემა XXIII. გადაზიდვა-გადაყვანა

გადაზიდვის ხელშეკრულება. გადამზიდველის პასუხისმგებლობა. რეკლამაცია (პრეტენზია) და სარჩელი. გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ.

თემა XXIV. დავალების ხელშეკრულება

დავალების ხელშეკრულების ცნება. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. დავალების გადანდობა მესამე პირისათვის. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა. მარწმუნებლისა და რწმუნებულის გარდაცვალების შედეგები.

თემა XXV. საკუთრების მინდობა

საკუთრების მინდობის ცნება. მინდობილი მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი. მინდობილი მესაკუთრისათვის ხარჯების ანაზღაურება. მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა.

თემა XXVI. ექსპედიციის ხელშეკრულება

ექსპედიციის ხელშეკრულების ცნება. ექსპედიტორის და შემკვეთის უფლება-მოვალეობანი.

თემა XXVII. შუამავლობის ხელშეკრულება

შუამავლობის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მაკლერისათვის ანაზღაურების მიცემა და მისთვის გასამრჯელოს მიცემის დაუშვებლობა. ექსკლუზიური დავალება. საშუამავლო ხელშეკრულების მოშლა. შუამავლობა ბინის ქირავნობისას. შუამავლობა სესხებისას.

თემა XXVIII. ჯილდოს საჯაროდ დაპირება. კონკურსი.

თემა XXIX. მიბარების ხელშეკრულება

მიბარების ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. გვაროვნული ნივთის მიბარების თავისებურებანი. სასტუმროში მიბარების თავისებურებანი.

თემა XXX. მიბარება სასაქონლო საწყობში

საქონლის მიღება შემნახველის მიერ. გვაროვნული ნივთების შენახვის თავისებურებანი. მიბარებული საქონლის გაყიდვა. სასაწყობო მოწმობა. ვარანტი. საგირავნო მოწმობა.

თემა XXXI. დაზღვევა

ზოგადი დებულებანი. სადაზღვევო შესატანი. ზიანის დაზღვევა. დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევა. უბედური შემთხვევის დაზღვევა.

თემა XXXII. საბანკო მომსახურება

ანგარიშსწორება. საბანკო კრედიტი. ანაბარი. დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი. დოკუმენტალური ინკასო. საბანკო გარანტია.

თემა XXXIII. თავდებობის ხელშეკრულება

თემა XXXIV. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება

ამხანაგობის ხელშეკრულების ცნება. ამხანაგობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა. ამხანაგობიდან ერთ-ერთი მონაწილის გასვლის შედეგები. ამხანაგობის შეწყვეტის საფუძვლები და წესი.

თემა XXXV. სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება

სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მარჩენალისათვის გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა. ხელშეკრულების შეწყვეტა. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები.

თემა XXXVI. თამაშობა. სანაძლეო. ლატარია

თემა XXXVII. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

საზიარო უფლებები. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. უსაფუძვლო გამდიდრება.

თემა XXXVIII. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა ცნება. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საერთო პირობები. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები (არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის). სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება; პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის; ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება; სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება; ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას. პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციით გამოწვეული ზიანისათვის უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა. უხარისხო პროდუქტის ცნება. პროდუქტის ცნება.

თავი მეოთხე
ინტელექტუალური საკუთრების სამართალი
ა. საავტორო სამართალი

თემა I. საავტორო სამართლის ცნება

საავტორო სამართლის მოქმედების სფერო. ნაწარმოების გამოქვეყნება და გამოცემა. ნაწარმოების საჯაროდ შესრულება, ჩვენება და გადაცემა.

თემა II. საავტორო უფლებები

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. ავტორის განსაკუთრებული უფლებები. ავტორის ქონებრივი უფლებები. ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენების უფლება. საავტორო უფლების ობიექტი.

თემა III. საავტორო უფლების მოქმედების ვადა

უვადო საავტორო უფლებები. ვადაგასული საავტორო უფლების გამოყენების წესი.

თემა IV. საავტორო უფლების გადაცემა

საავტორო უფლების გადაცემის საფუძვლები. განსაკუთრებული და ჩვეულებრივი ლიცენზია. საავტორო ხელშეკრულება.

თემა V. საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები

მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადა. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა.

ბ. სამრეწველო საკუთრება

თემა VI. გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა დაცვა

თემა VII. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დაცვა

თემა VIII. საფირმო სახელწოდების დაცვა

თემა IX. საწარმოო–კომერციული საიდუმლოს დაცვა

თავი მეხუთე
საოჯახო სამართალი

თემა I. ქორწინების წესი და პირობები

ქორწინების ცნება. დაქორწინების პირობები. დაქორწინების გაფორმება. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. ხელმეორედ დაქორწინების წესი.

თემა II. ქორწინების შეწყვეტა

ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები. განქორწინების დაუშვებლობა. განქორწინების წესი. ქორწინების აღდგენა გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლის დაბრუნებისას. მსჯავრდადებულ მეუღლესთან განქორწინების წესი.

თემა III. ქორწინების ბათილობა

ქორწინების ბათილობის საფუძველი. ქორწინების ბათილობის მომენტი.

თემა IV. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მეუღლეთა პირადი უფლებები. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა.

თემა V. შვილების წარმოშობის დადგენა

თემა VI. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

მშობლების მოვალეობანი შვილების მიმართ. განქორწინებულ მშობელთა უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ. პაპისა და ბებიის უფლებები არასრულწლოვანი შვილიშვილების მიმართ. მშობლის უფლების ჩამორთმევა. შვილის ჩამორთმევა მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე.

თემა VII. მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი

შვილების რჩენის მოვალეობა. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი. შვილების მოვალეობანი მშობლების მიმართ. ალიმენტის ოდენობის შემცირება და შეცვლა.

თემა VIII. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი

და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობა. შვილიშვილების და ბებიისა და პაპის საალიმენტო მოვალეობები. მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო მოვალეობა. გერის საალიმენტო მოვალეობა. მუდმივ აღსაზრდელად აყვანილი ბავშვის რჩენის მოვალეობა. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი.

(იხილეთ მე-7 გვ.).

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა

(დასასრული)

თემა IX. ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი

თემა X. შვილება

შვილების ცნება. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია. მშვილებელი. შვილად აყვანა მეუღლეების მიერ. მშობლების თანხმობა გაშვილებისას. მეურვეობაში მყოფი ბავშვის შვილება. ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილება. ნაშვილების ურთიერთობანი ღვიძლ მშობლებთან. შვილად აყვანის გაუქმება და მისი შედეგები. შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძვლები.

თემა XI. მეურვეობა და მზრუნველობა

მეურვეობისა და მზრუნველობის ცნება. მეურვეობა, მზრუნველობა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები. მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი. პირები, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან მზრუნველად. ქონების მეურვის დანიშვნა. მეურვის და მზრუნველის უფლებები. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობანი. მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა შეზღუდვა. მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობისაგან. მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები

თავი მეექვსე
მემკვიდრეობის სამართალი

თემა I. ზოგადი დებულებანი

მემკვიდრეობის ცნება. მამკვიდრებელი. მემკვიდრეები. თანამემკვიდრეები. ულირსი მემკვიდრე. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება). სამკვიდროს გახსნა. სამკვიდროს გახსნა კომ[illegible].

თემა II. მემკვიდრეობა კანონით

კანონით მემკვიდრეები. კანონით მემკვიდრეთა რიგითობა. არაშრომისუნარიან პირთა უფლებები მემკვიდრეობისას. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის. უმკვიდრო ქონების გადასვლა ხაზინაზე.

თემა III. მემკვიდრეობა ანდერძით

ანდერძის ცნება. ერთობლივი ანდერძი. წილის განსაზღვრა მოანდერძის მიერ. ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

თემა IV. ანდერძის ფორმა

სანოტარო ფორმა. შინაურული ანდერძი. დახურული ანდერძი.

თემა V. მემკვიდრის მემკვიდრის დანიშვნა

თემა VI. სავალდებულო წილი

სავალდებულო წილის ცნება. სავალდებულო წილის განსაზღვრა. უარი სავალდებულო წილის მიღებაზე. სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა.

თემა VII. საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

ლეგატის ცნება. საანდერძო დანაკისრის საგანი. საანდერძო დანაკისრის შესრულების ფარგლები და ვადა. საანდერძო დანაკისრი სავალდებულო წილის მიღებისას. უარი საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. საანდერძო დანაკისრი საერთო სასარგებლო მიზნით.

თემა VIII. ანდერძის შეცვლა ან მოშლა

ანდერძის შეცვლის საშუალებები. ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლები.

თემა IX. ანდერძის აღსრულება

თემა X. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს მიღება. სამკვიდროს მიღების ვადა და ვადის გაგრძელება. სამკვიდროს განკარგვის დაუშვებლობა. მემკვიდრეობითი ტრანსმისია. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე.

თემა XI. სამკვიდროს გაყოფა

სამკვიდროს გაყოფის წესის განსაზღვრა მოანდერძის მიერ. სახუქრის ჩათვლა მოანდერძის წილში. სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყოფა მემკვიდრეებს შორის. საადგილმამულო მეურნეობის გადასვლა მემკვიდრეობით. ჩასახული მემკვიდრის უფლება სამკვიდროს გაყოფისას. წილის მიღების უზრუნველყოფის ვალდებულება. წილის განკარგვის უფლება. წილის გათანაბრება. მემკვიდრის გამოუცხადებლობის შედეგები. უპირატესი მემკვიდრეობის უფლება.

თემა XII. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

თემა XIII. სამკვიდროს დაცვა

თემა XIV. სამკვიდრო მოწმობა

თავი მეშვიდე
სამეწარმეო სამართალი
ზოგადი ნაწილი

თემა I. სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის ცნება

სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის მართლზომიერება. არაერთჯერადობა. მოგების მიზანი. დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა. არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. თავისუფალი პროფესიების ცნება.

თემა II. საწარმოთა ორგანიზაციულ — სამართლებრივი ფორმები

საწარმოს ცნება. ინდივიდუალური საწარმო. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს). კომანდიტური საზოგადოება (კს). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). სააქციო საზოგადოება (სს). კოოპერატივი. სახაზინო საწარმო. პარტნიორის ცნება. ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და სახელმწიფო, როგორც პარტნიორები. რეგისტრაციის ცნება და მნიშვნელობა. იურიდიული პირის ცნება. იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობა.

თემა III. საწარმოთა პასუხისმგებლობა და მათი დაფუძნება

პასუხისმგებლობის ცნება. პასუხისმგებლობის პირობები. კრედიტორის ცნება. მესამე პირის ცნება. სახაზინო საწარმოს პასუხისმგებლობა. შესატანის ცნება. ფულადი და არაფულადი შესატანები. შესატანის შეტანის წესი. შესატანის შემცირება საწესდებო კაპიტალის შემცირებით. პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

თემა IV. რეგისტრაციის პირობები

სამეწარმეო რეესტრის ცნება და მნიშვნელობა. საწარმოთა რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირები. რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტები. რეგისტრაციის [illegible]. რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფცია. რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია.

თემა V. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირები. საერთო კრება. ხელმძღვანელობითი საქმიანობა. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა შეზღუდვა. საზოგადოების ხელმძღვანელების საგარეო ურთიერთობა. კონკურენციის აკრძალვა. საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება. მტკიცების ტვირთი. იმპერატიული ნორმა რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ. საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველყოფა. საკონსულტაციო საბჭო.

თემა VI. ხანგრძლივობა. რეორგანიზაცია. ლიკვიდაცია

ხანგრძლივობა. სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის ლიკვიდაცია. საზოგადოების ლიკვიდაცია გადახდისუუნარობის გამო. გადახდისუუნარობის შედეგები. ლიკვიდატორების უფლება-მოვალეობანი. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილების წესი. საზოგადოების რეორგანიზაცია. საწარმოთა შერწყმა. გაყოფა ნატურით.

თემა VII. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები

ხანდაზმულობის ცნება. პრეტენზიის ცნება.

თემა VIII. ფილიალები

ფილიალის ცნება. ფილიალის რეგისტრაცია. საზღვარგარეთის საწარმოთა ფილიალის რეგისტრაცია.

თემა IX. კონცერნები და მეკავშირე საწარმოები

კონცერნის ცნება. კონცერნი, როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა. ძირითადი და არაძირითადი საწარმოს ცნება. კონცერნის შექმნის წესი. შვილობილი საწარმოს ცნება. წილთა უმრავლესობის ცნება. მმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა.

კერძო ნაწილი

თემა X. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ცნება. პარტნიორთა კრება. საზოგადოების ხელმძღვანელობა. პარტნიორის კონტროლის უფლება. ლიკვიდაციის საფუძვლები. წილი კაპიტალის გასხვისება. პარტნიორის გარდაცვალება.

თემა XI. კომანდიტური საზოგადოება

ცნება. კონკურენციის აკრძალვა. კომანდიტის კონტროლის უფლება. საზოგადოების ხელმძღვანელობა. მოგება და ზარალი. კომანდიტის პასუხისმგებლობა. კომანდიტის წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა.

თემა XII. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ცნება. შპს-ის განსხვავება სს-გან. საწესდებო კაპიტალი. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი. წილის გასხვისება. წილის ცნება. წილის გასხვისებას გათანაბრებული გარიგებანი. დამატებითი შენატანების გადახდა.

პარტნიორთა კრების მოწვევა. კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე. კრებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

თემა XIII. სააქციო საზოგადოება.

ცნება. საზოგადოების წიგნი. აქციათა ფორმები. აქციის ცნება და აქციათა სახეები. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები. აქციის ნომინალური ღირებულება. აქციების გასხვისების წესი. ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სხვა ფორმები.

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები. საერთო კრება და მისი კომპეტენცია. სამეთვალყურეო საბჭო და მისი კომპეტენცია. დირექტორები.

წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება. ქონების მოვლის ვალდებულება. რევიზია. კაპიტალის შეძენის ღონისძიებები.

თემა XIV. კოოპერატივი

ცნება. პაი. კოოპერატივში გაწევრიანება. წევრის გასვლა კოოპერატივიდან. საერთო კრება. წარმომადგენელთა კრება. სამეთვალყურეო საბჭო. გამგეობა. დირექტორები.

ლიტერატურა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წ.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 1997 წ.

ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი (ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), თბ., 1997 წ.

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), თბ., 1997 წ.

ზოიძე ბ., მფლობელობის **(Possesio)** *ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში. კრებულში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1994 წ., გვ. 274-284.*

კნიპერი რ., საკუთრების პრობლემები გარდამავალ საზოგადოებაში. საიუბილეო კრებული მიძღვნილი გ. ინწკირველის 70 წლისთავისადმი, გვ. 118-124.

კნიპერი რ., მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის თაობაზე. საიუბილეო კრებული მიძღვნილი ს. ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი, გვ. 21-31.

მენგელია რ., კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები. საიუბილეო კრებული მიძღვნილი ს. ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი, გვ. 67-74.

ძამუკაშვილი დ., სამრეწველო საკუთრება, გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, თბ., 1997 წ.

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.

ჭანტურია ლ., სანივთო სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1994 წ., გვ. 226-241.

ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, საიუბილეო კრებული მიძღვნილი ს. ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი, თბ., 1996 წ., გვ. 32-55.

ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, 1997 წ.

ჯორბენაძე ს., საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1994 წ., გვ. 139-175.

სამოქალაქო სამართლის პროცესი

თემა I. სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნები და პრინციპები

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის აგების კონცეფციები (სამძებრო პროცესი, შეჯიბრებითობის პრინციპი, შერეული პროცესი). პრინციპების პრაქტიკული მნიშვნელობა. შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების ახლებური გაგება.

თემა II. მხარეები, თანამონაწილეები და მესამე პირები

მხარეთა საპროცესო უფლებები, სარჩელის შეცვლა, სარჩელის აღიარება და სარჩელზე უარის თქმა. მხარეთა მორიგება და მისი მნიშვნელობა. თანამონაწილეობის საფუძვლები. მესამე პირები. მათი განსხვავება თანამონაწილეებისაგან. არასათანადო მხარის შეცვლა და მისი შედეგები. საპროცესო უფლებამონაცვლეობა.

თემა III. სარჩელი

სარჩელის მიღება. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები. სარჩელის იგივეობის დადგენის კრიტერიუმი. სარჩელის ელემენტები. მოთხოვნები, რომელსაც უნდა პასუხობდეს სასარჩელო განცხადება.

თემა IV. სასამართლო იურისდიქცია (უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა)

სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა (ცნება და ზოგადი პრინციპები). უწყებრივი ქვემდებარეობის დარღვევის შედეგები. განსჯადობა და მისი განსხვავება უწყებრივი ქვემდებარეობისაგან. განსჯადობის დარღვევის პრაქტიკული შედეგები.

თემა V. საქმის წინასწარი მომზადება სასამართლო გარჩევისათვის

საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადების მნიშვნელობა. საპროცესო მოქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს საქმის მომზადებისათვის. მოსამართლის თანაშემწის როლი საქმის მომზადების სტადიაზე. სამოქალაქო საქმის მტკიცებულებათა გამოყენების თავისებურებანი პირველი ინსტანციის სასამართლოში. საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

თემა VI. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მნიშვნელობა და საფუძვლები. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები და წესი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წესი და საფუძვლები.

თემა VII. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ საქმეთა განხილვა

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის თავისებურებანი. თამასუქისა და ჩეკის წარდგენა. სასამართლოს გადაწყვეტილება.

თემა VIII. გამარტივებული წარმოება

გამარტივებული წარმოების შემოღების მნიშვნელობა. გამარტივებული წარმოების საფუძვლები. საქმის გამარტივებულად წარმოების საფუძვლები.

თემა IX. საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

სარჩელის განუხილველად დატოვება. საქმის წარმოების შეწყვეტა.

თემა X. სასამართლო გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების შინაარსი. მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა მხარეთა თხოვნით. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა და მისი მნიშვნელობა. გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თემა XI. აპელაცია

სააპელაციო სასამართლო. საქმის განხილვის წესი სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება.

თემა XII. კასაცია

საკასაციო სასამართლო. საკასაციო საჩივრის ობიექტი და სუბიექტი. საქმის განხილვის წესი საკასაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება და საქმის განხილვის ფორმები (კასაცია და რევიზია).

თემა XIII. კერძო საჩივარი

კერძო საჩივრის დასაშვებობა. კერძო საჩივრის განხილვის წესი.

თემა XIV. საქმის წარმოების განახლება

საქმის წარმოების განახლების სახეები (ახლად აღმოჩენილი გარემოებები, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები). განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ (შინაარსი და საფუძვლები). განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (შინაარსი და საფუძვლები). საქმის განახლება.

თემა XV. გაკოტრების საქმეთა წარმოება

გაკოტრების საქმეთა წარმოების მიზანი. გაკოტრების საქმეთა წარმოების საფუძველი. განცხადება გაკოტრების შესახებ. საქმის წარმოების გახსნა და მისი შედეგები. მხარეთა მორიგება. სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თემა XVI. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი

უცხოელ მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და უცხოელი იურიდიული პირების საპროცესო უფლებები. პირები, რომლებზეც არ ვრცელდება საქართველოს სასამართლოების განსჯადობა. იურიდიული დახმარების გაწევა უცხოეთის სასამართლოებისათვის. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა აღიარება და აღსრულება. საერთაშორისო არბიტრაჟი.

ლიტერატურა:

საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გ-ბა „მეცნიერება“, თბ., 1992.

ლილუაშვილი თ., სასამართლოს დამოუკიდებლობა, ჟურნ. „სამართალი“, 1992, №3.

ლილუაშვილი თ., სასამართლოს რეფორმის კონცეფცია, ჟურნ. „სამართალი“, 1992, №1–2.

ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტი, განმარტებითი ბარათი, ჟურნ. „სამართალი“, 1997, №1–2.

ხოფერია ნ., საქართველოს ახალ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების თანაფარდობა.

საიუბილეო კრებული მიძღვნილი ს. ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი, თბ., 1996.

ჰაინრიხსი ჰ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროგრამები და საპროცესო სამართლის რეფორმა. „საიუბილეო კრებული“, მიძღვნილი ს. ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი, თბ., 1996.

ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი

თემა I. ადმინისტრაციულ–სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობები

სახელმწიფო მმართველობის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები. ადმინისტრაციულ-მატერიალური და ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების სახეები. სავალდებულო სუბიექტი ამ ურთიერთობებში. იურიდიული ფაქტები ადმინისტრაციულ სამართალში.

თემა II. მმართველობის უმაღლესი ორგანოები საქართველოში

მმართველობის ორგანოთა კლასიფიკაცია, მათი სისტემა, აგებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის არსი სახელმწიფო მმართველობაში. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილი ორგანოების სისტემა. საქართველოს მთავრობა, მისი შექმნის წესი. სამთავრობო კომისია, მინისტრების კომისია, საქვეუწყებო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომისია. სახელმწიფო კანცელარია. სახელმწიფო რწმუნებული. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის უმაღლესი ორგანოები.

თემა III. მმართველობის ცენტრალური ორგანოები

სამინისტროს, დეპარტამენტის და სხვა ცენტრალური ორგანოს შექმნის წესი საქართველოში. სამინისტროს სამართლებრივი მდგომარეობა. დეპარტამენტები. სახელმწიფო და სხვა ინსპექციები. საქართველოს კონტროლის პალატა. საქართველოს ეროვნული ბანკი.

თემა IV. სახელმწიფო სამსახური და სახელმწიფო მოხელე

სახელმწიფო სამსახურის სახეები. სამსახურში მიღების კონკურსის წესი, თანამდებობაზე არჩევა, თანამდებობაზე დანიშვნა. სამსახურებრივი ატესტაცია. სამსახურებრივი კარიერა. სახელმწიფო მოხელის ცნება. თანამდებობის პირი და ხელისუფლების წარმომადგენელი. კადრების შერჩევის დემოკრატიული პრინციპები. სახელმწიფო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა. სამსახურებრივი დეონტოლოგია.

თემა V. მოქალაქეთა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი მდგომარეობა

მოქალაქეთა ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა და ქმედებაუნარიანობა. მოქალაქეთა ადმინისტრაციული უფლებრივი სტატუსი. მოქალაქეთა მეწარმეობისა და შემოქმედების თავისუფლება. კრიტიკის თავისუფლება. საჩივრის უფლება. სიტყვის, პრესის თავისუფლება. მიტინგებისა და დემონსტრაციების თავისუფლება. საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება. გაფიცვის უფლება. მოქალაქეთა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი უფლებების გარანტიები (სოციალური, ეკონომიკური, იურიდიული).

თემა VI. მმართველობის ფორმები და მეთოდები

მმართველობის ფორმებისა და ფუნქციების ცნება. მმართველობის აქტების სახეები. მმართველობის აქტების გაუქმებისა და შეჩერების წესი. დარწმუნებისა და წახალისების ფორმები სახელმწიფო მმართველობაში. იძულების სახეები ადმინისტრაციულ სამართალში, (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, დისციპლინური პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული აღმკვეთი და ადმინისტრაციული გამაფრთხილებელი ღონისძიებები).

თემა VII. ადმინისტრაციული იძულების იურისდიქცია

ადმინისტრაციული იურისდიქციის ცნება. სამსახურებრივი ზედამხედველობა. ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა სასამართლოში.

თემა VIII. ადმინისტრაციული პროცესის ცნება და ფარგლები

ადმინისტრაციული პროცესის ცნება. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები. ადმინისტრაციული იუსტიციის ცნება.

თემა IX. ადმინისტრაციული საჩივრების საქმეთა წარმოება

ადმინისტრაციული საჩივრის ცნება და სახეები. ადმინისტრაციული გასაჩივრების ინსტანციური და სასამართლო წესი. ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის წესი. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა. ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღება. ზედამხედველობა ადმინისტრაციული საჩივრის საქმის წარმოებაზე. საჩივრებზე სააპელაციო საქმის წარმოების არსი.

თემა X. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციული გადაცდომის ცნება. დანაშაული და ადმინისტრაციული გადაცდომა. ადმინისტრაციული გადაცდომის შემადგენლობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები. ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც იხილავენ ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეებს.

თემა XI. ადმინისტრაციული სახდელები

ადმინისტრაციული სახდელების სახეები და მათი კლასიფიკაცია. ადმინისტრაციული სახდელების მიზნები. ადმინისტრაციული გაფრთხილება. ადმინისტრაციული ჯარიმა. ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა. ადმინისტრაციული პატიმრობა. საქართველოს ფარგლებიდან გაძევება. ადმინისტრაციული სახდელების ურთიერთშეცვლის წესი. ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების წესი.

ლიტერატურა:

საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

საქართველოს კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ.

საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ.

აბესაძე ა., მოქალაქეთა უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 1968 წ.

ბრებანი გ., საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი (თარგმანი რუსულად), მოსკოვი, 1993 წ.

ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, სახელმძღვანელო, თსუ, 1995 წ.

შევარდნაძე ე., სიტყვა პარლამენტის სხდომაზე 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 25 აგვისტო.

მენგელია რ., საქართველოს საფინანსო სამართალი, ნაწ. I-II, თსუ., 1995 წ.

ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თსუ., 1996.

ჯინჯოლავა ზ., საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თსუ, 1993 წ.

ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

თემა I. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის ფაკულტატური ოქმი. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ევროპის სოციალური ქარტია.

თემა II. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები

გაერო და მისი საერთაშორისო სასამართლო. საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი.

ევროპის საბჭო და მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კომისია. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული (ქ. სტრასბურგის) სასამართლო.

თემა III. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მართლმსაჯულების საკითხებზე

სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები (1985 წელი).

იურისტთა როლის ძირითადი პრინციპები (1990 წელი)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე (1985 წ. პეკინის წესები).

დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია (1985 წელი).

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი (1979 წელი).

თემა IV. საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები

ევროპული კონვენცია მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ.

უცხო სახელმწიფოთა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია.

ლიტერატურა:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, თბ., 1990 წ.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“ №5, 1990 წ., გვ. 50.

ფაკულტატური ოქმი საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“ №7, 1990 წ., გვ. 69.

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, №10, 1990 წ, გვ.46.

ევროპის სოციალური ქარტია. ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“ №11, 1990 წ., გვ. 67.

სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები, ჟურნ. „სამართალი“ №1. 1991 წ., გვ. 62-65.

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, ჟურნ. „სამართალი“ №5, 1991 წ., გვ. 52.

მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულობათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის, ჟურნ. „სამართალი“ №5, 1991 წ., გვ. 57-63.

პეკინური წესები, ჟურნ. „სამართალი“ №2, 1992 წ., გვ. 53.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“ №4, 1990 წ., გვ. 3.

ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, „ნეკერი“, 1994წ.

სავანელი ბ., სამართლის თეორია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1997 წ.

სავანელი ბ., საერთაშორისო პაქტები მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, კომენტარები, თბილისი, 1997 წ.

ტრანსპორტი

საგზაო ფონდის გადასახადი მოხსნილია

დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც საგზაო პოლიციის სამსახურში საერთო საქმისთვის სასარგებლო, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ძნელად მისაღები მთელი რიგი რეფორმები მოხდა. ბევრს აწუხებს იმაზე ფიქრი, როგორ გადაიხადოს მართვის მოწმობის, სანომრე ნიშნის თუ მანქანის ტექნიკური დათვალიერებისთვის დაწესებული გადასახადი.

1997 წელს ჩვენს ქვეყანაში 357103 ერთეული ავტოტრანსპორტი აღირიცხა. აქედან კერძო სექტორისა იყო 291538, ხოლო სახელმწიფოსი — 65565 ერთეული, რამაც ტექნიკური დათვალიერების 85,9 პროცენტი შეადგინა. ტექნიკური დათვალიერება გაიარა კერძო სექტორის 85,5 კუთვნილი ავტოტრანსპორტის, ხოლო სახელმწიფო სექტორის — 89,7 პროცენტმა. გამართული აღმოჩნდა მხოლოდ 59,3 პროცენტი.

1995-96 წელთან შედარებით გამართულობის პროცენტი საგრძნობლად დაბალია, რისი მიზეზიც, ალბათ, ნაწილობრივ, მოსახლეობის მცირე ხელფასებიც არის. როგორც საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტო-მოტო ტრანსპორტზე ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა შოთა ბორაშვილმა აღნიშნა, 1998 წლისათვის მოსახლეობისთვის გარკვეული შეღავათები იქნება გათვალისწინებული, ხოლო მოთხოვნები ტექნიკური გამართულობის ხაზით უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება.

კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1997 წლის 25 ნოემბრის № 615 ბრძანებით დამტკიცდა „საგზაო პოლიციის სამსახურის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დებულება“, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს წლიური ტექნიკური დათვალიერებისათვის ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას დიაგნოსტიკურ სადგურებში. კერძოდ, წლიური ტექნიკური დათვალიერების ვადა განისაზღვრა 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე. 1 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალება თავისუფლდება დიაგნოსტიკური შემოწმებისაგან. საერთოდ კი ნებისმიერი სახეობის ავტოტრანსპორტის მფლობელები ტექდათვალიერებისას უკვე აღარ გადაიხდიან საგზაო ფონდის გადასახადს.

ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებისათვის განკუთვნილი დიაგნოსტიკური სადგურების ლიცენზირება დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს. ლიცენზიის მისაღებად დიაგნოსტიკურ სადგურს ესაჭიროება სერთიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული სერთიფიკატი. დიაგნოსტიკური სადგური დაკომპლექტდება შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით.

საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შექმნილი კომისიის შემადგენლობაში, რომელიც გასცემს ლიცენზიას, შედიან შემდეგი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი — თავმჯდომარე; საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — კურატორი ტექნიკური ზედამხედველობის სახით — თავმჯდომარის მოადგილე; კომისიის წევრები: საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის წარმომადგენელი; დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობით წარმომადგენელი; ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი; საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტოტრანსპორტზე ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტ-კოორდინატორი; საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტოტრანსპორტზე ტექნიკური ზედამხედველობის უფროსი — კომისიის მდივანი.

ლიცენზიის მისაღებად კომისიაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება; ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; საკონტროლო საზომი ხელსაწყოების ტექნიკური პასპორტები, აგრეთვე ცნობა მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ; დიაგნოსტიკური სადგურის პასუხისმგებელ მუშაკთა კვალიფიკაციის მონაცემები (განათლების მოწმობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი და ა.შ.); საწარმოს პერსპექტიული განვითარების გეგმა.

მოთხოვნების უგულებელყოფის შემთხვევაში ლიცენზიის ვადამდე გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო.

თუ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის მიზეზად გამოძიება ტექნიკურ გაუმართაობას ჩათვლის, ცნობის გამცემი პირის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

ყველა სამინისტრო, უწყება, ფიზიკური თუ იურიდიული პირი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალებები ტექნიკური დათვალიერებისათვის წარადგინონ გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში. ავტობუსები და მიკროავტობუსები, რომლებსაც მგზავრები გადაჰყავთ, ტექნიკურ დათვალიერებას წელიწადში 2-ჯერ გაივლიან.

ის პიროვნებები, რომელთაც ჰყავთ ტექნიკურად აშკარად გაუმართავი ავტომობილები, ან ისეთები, რომელთა აღდგენა შეუძლებელია, ვალდებულნი არიან წლის 1 კვარტალის ბოლომდე ამის თაობაზე წერილობით აცნობონ საგზაო პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას.

დაბოლოს, იმის მიუხედავად, რომ წლიური ტექნიკური დათვალიერების ვადა ამოიწურა, რესპუბლიკის ქუჩებსა და ავტომაგისტრალებზე მაინც მოძრაობს ტრანსპორტი ტექნიკური დათვალიერების გარეშე, რაც, არცთუ იშვიათად, მრავალი უბედურების მიზეზი ხდება. ამიტომაც საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო თხოვს ყველა მძღოლს, დროულად გაატარონ მანქანები ტექნიკურ დათვალიერებაზე.

საგზაო პოლიციის
მთავარი სამმართველოს
პრესსამსახური.

ხიდი

სურთ უკეთ გაიცნონ ქართული კინო

თუ აქამდე ისრაელში ქართული კინოს მხოლოდ ორიოდ ნიმუშს (ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“, „მონანიება“) იცნობდნენ, ამიერიდან მათ გაცილებით მეტი იციან ჩვენი კინემატოგრაფიის შესახებ. თელ-ავივსა და იერუსალიმში გამართულმა ქართული კინოს ფესტივალმა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ჩვენი თანამემამულე მალხაზ კოხრეიძე და მისი მეუღლე, ქართული მწერლობის ივრითზე მთარგმნელი ციფი მიხაელი, ბოლო სამი ათეული წლის ფილმები წარუდგინა მაყურებელს.

თანამედროვე ქართული კინოხელოვნების ბრწყინვალე ოსტატების ალექსანდრე რეხვიაშვილის, რეზო ესაძის, მერაბ კოკოჩაშვილის, ახალი თაობის წარმომადგენლების: დავით ჯანელიძის, ლევან ანჯაფარიძის, გიო მგელაძის, გიორგი ცინცაძის, რუსუდან ღლურჯიძის, ბესო სოლომანაშვილის რეტროსპექტივამ კინომოყვარულთა და სპეციალისტთა მზარდი ინტერესი დაიმსახურა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო შეხვედრები ავტორებთან ფილმების ჩვენების შემდეგ. ასეთი შეხვედრები ჰქონდათ მერაბ კოკოჩაშვილს, ალექსანდრე რეხვიაშვილსა და რეზო ესაძეს. ისრაელიდან ჩამოსვლისთანავე შევხვდი ბატონ მერაბ კოკოჩაშვილს, რომელმაც ისაუბრა ამ რეტროსპექტივაზე და, საერთოდ, საქართველო-ისრაელს შორის კულტურული კავშირების მნიშვნელობასა და შემდგომ განვითარებაზე.

— მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში საკმაოდ მრავალრიცხოვანია ქართველი ებრაელობა, ჩვენ ძალიან მწირი კინემატოგრაფიული კონტაქტები გვაქვს. თუმცა, იქაურ გაზეთში „ალია საქართველოდან“, ამოიკითხავთ, რომ 180-ზე მეტი ქართული ფილმის შეძენა შეუძლიათ მსურველებს. ჯერ ჩვენ საამისო კანონი არა გვაქვს შემუშავებული, ამდენად, ეს ფილმები, გატანილია საქართველოს საბაჟოს გაუვლელად.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართული კინო თვითონ კინემატოგრაფიულმა წრეებმა მიიპატიჟეს. ეს ჩვენი თანამემამულის მალხაზ კოხრეიძისა და მისი მეუღლის ციფი მიხაელის დახმარებით მოხდა. ჩვენი ფილმებიც ქალბატონმა ციფიმ თარგმნა ივრითზე. მათ რეტროსპექტივის პროგრამაში თოთხმეტი ფილმი ჩართეს, რომლითაც უფროსი და ახალგაზრდა თაობის კინემატოგრაფისტები წარმოაჩინეს.

ისრაელის სინემატეკები ძალიან დიდ მუშაობას ეწევიან მსოფლიო კინოს პოპულარიზაციის თვალსაზრისით. მიზანი ქართული ფილმების ჩვენებისა ის იყო, რომ მსოფლიოში უკვე საკმაოდ აღიარებული ქართული კინო ისრაელშიც გაეცნოთ. მანამდე, როგორც იქ გვითხრეს, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენს კინოხელოვნებაზე. ნანახი ჰქონდათ მხოლოდ თითო-ოროლა ფილმი. ამჯერად ორი თაობის შემოქმედების გაცნობა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ორასკაციანი დარბაზი მუდამ სავსე იყო დაინტერესებული მაყურებლით. ძირითადად ესწრებოდა ინტელიგენცია, რომლებიც მარტო იერუსალიმიდან და თელავივიდან კი არა, სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ.

საერთოდ ისრაელში, მსოფლიო კინოს ნიმუშების გაცნობა ძალიან მაღალ დონეზე დგას, სკოლებსა და ინსტიტუტებში სწავლობენ კინოს ისტორიას, კინოს საგანგებო კურსს გადიან არა მარტო მომავალი კინომცოდნეები და რეჟისორები, არამედ ყველა შემოქმედებითი ინსტიტუტის ნებისმიერი პროფილის სტუდენტები, მათ შორის ვრცელდება ხოლმე აბონემენტები, რაც საშუალებას აძლევთ უშუალოდ ეზიარონ მსოფლიოს ნებისმიერ კინოსკოლას. იერუსალიმის სინემატეკაში მსოფლიო კინემატოგრაფიის 15000-ზე მეტი ნაწარმოებია დაცული. სურთ ჰქონდეთ ქართული კინოს კარგი ასლები, თოთხმეტივე ფილმის დატოვება გვთხოვეს. დღემდე იქ მხოლოდ ერთი ქართული ფილმი — რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ არსებობდა.

ნებისმიერი ფესტივალი თუ სხვა კულტურული აქცია ისრაელში სახელმწიფოს მიერ კი არა, კერძო შემოწირულობებიდან და სპეციალური ფონდებიდან ფინანსდება. მსგავს აქციებში მონაწილეობა საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს სპონსორებისათვის. ეს იმ დროს, როცა ისრაელის კინემატოგრაფი ცნობილი არ არის, ქართული კი პირიქით — ასე ცნობილია და ასე დაუცველი.

ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი ფილმების ჩვენებას, მათი სათქმელი და პრობლემატიკა იქაური მაყურებლისთვისაც გასაგები და ახლობელი აღმოჩნდა. ბუნებრივია მძაფრი ინტერესი, რომელიც ახლდა ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმს „სამკუთხა წრეში“. მასში ხომ ონის ებრაელთა ცხოვრებაა ასახული — ებრაელები სინაგოგაში და სინაგოგის გარეთ. ასევე არაჩვეულებრივად მიიღეს მისივე „საფეხური“, რეზო ესაძის „ნეილონის ნაძვისხე“ და „ერთი ნახვით შეყვარება“, ჩემი „დიდი მწვანე ველი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „მიხა“ და „არდადეგები“. ჩინებული შეფასება დაიმსახურა ახალგაზრდა კინორეჟისორების ფილმებმა — დავით ჯანელიძის „მდგმურებმა“, ლევან ანჯაფარიძის „ორმაგმა სახემ“, გიო მგელაძის „არა, მეგობარო“, რუსუდან ღლურჯიძის „ოსკარმა“, გიორგი ცინცაძის „ბუშმა“, ბესო სოლომანაშვილის „სისხლიანმა სცენარმა“. — ეს პრობლემები ჩვენთვისაც გასაგებიაო, — აღნიშნეს იქ; აინტერესებდათ, რა პირობებში ვიღებდით ფილმებს მკაცრი საბჭოთა იდეოლოგიზაციის ქვეყანაში, ასევე აინტერესებდათ ჩვენი აზრი მხატვრულ და ყოფით სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, პიროვნების თავისუფლებაზე, თუ რა უშლის ხელს პიროვნული თავისუფლების გამოვლენას. ჩვენი ფილმების ნახვის შემდეგ უკვირდათ, განა რა იყო იქ ისეთი, რასაც საბჭოთა იდეოლოგია კრძალავდა; იქაურებს გაუჭირდათ ყოველივე ამის ბოლომდე ჩაწვდომა.

ქართველმა ებრაელობამ სითბო შემოგვაგება, თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ჩვენთან სოსო ბარდანაშვილი, ლევან ნამგალაშვილი, მარინე შამშვილი და სხვები. შთაბეჭდილებებით სავსენი და ძალიან კმაყოფილი დავბრუნდით. მართლაც განსაკუთრებული სიხარული სუფევდა, როცა ჩვენი ფილმების შემდეგ ტაშს უკრავდნენ, არ ჩქარობდნენ დაშლას, ჩვენთან საუბრის, ახლო გაცნობის სურვილი ჰქონდათ. ერთ-ერთი სეანსის შემდეგ მოვიდა იქაური პოეტი და ქართული კინოთი აღფრთოვანების ნიშნად თავისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წიგნის ერთი ილუსტრაცია გვისახსოვრა. ეს მართლაც იშვიათი შემთხვევა იყო, რომელმაც ძალიან გაგვახარა.

ისრაელის საზოგადოებრიობას შესაძლებლობა მიეცა სინემატეკის ფოიეში ეხილა რეზო ესაძის გრაფიკული სურათების გამოფენა, ექსპოზიციაში ჩართული სერია „მკვდარი ზღვა“ ისრაელს ეძღვნებოდა. ამანაც გაამძაფრა ინტერესი ამ უაღრესად თავისთავადი, პლასტიკურად მეტყველი გრაფიკის მიმართ.

პირველად ვიყავი ისრაელში და, უნდა მოგახსენოთ, რომ საწაულებრივი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. განმაცვიფრა ამ ხალხის ნიჭიერებამ, შრომისმოყვარეობამ, თავისი ქვეყნის სიყვარულმა, ტრადიციების დაცვამ, რწმენამ. განსაკუთრებით იერუსალიმი, მისი ბიბლიური და ქრისტიანული სიძველეები არის მიმზიდველი. რაც მთავარია, ყველაზე მეტად დასაფასებელია დამოკიდებულება ისტორიის შენახვის მიმართ. ეს ყოველ ნაბიჯზე და ყველაფერში იგრძნობა, თუნდაც იმაში, როგორ ამენებენ დღევანდელ ქალაქს. საკვირველია, როგორ ახერხებს ეს ხალხი მატერიალური დოვლათის შექმნას თითქმის ყველაფრიდან: მკვდარი ზღვის ფსკერიდან იღებენ მინერალურ მიწას, ამუშავებენ და იქიდან ნელსაცხებლებს ამზადებენ. ამ უდაბნოში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით წალკოტს, მიწა მოაქვთ საიდანაც ხელეწიფებათ, რგავენ და ახარებენ მცენარეებს, წვეთ წყალს არ ხარჯავენ უბრალოდ და უმიზნოდ.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მონახულება, რომელიც ბერძნების ხელშია, აქ ყველაფერი ქართული დაცული და შენახულია. იქ ყოველ დაინტერესებულ მნახველს მიესვლება. ჯვრის მონასტერში ასვენია ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ შეწირული მარიამ ღვთისმშობლის ჰედური ხატი. ყველას უხსნიან, თუ ვის მიერ არის იგი ბომბული.

მისასალმებელია, რომ გადაიდგა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ორი ქვეყნის კინემატოგრაფის დასაახლოებლად. იმედია, ეს ურთიერთობა გაგრძელდება და ახალ-ახალ შეხვედრებსა და შემოქმედებით სიხარულს დაუდებს სათავეს. ამ აქციამ ერთი მნიშვნელოვანი საქმე უკვე გააკეთა, საგაისოდ მივიღეთ მიწვევა იერუსალიმის კინოს საერთაშორისო ფესტივალზე, თუკი გვექნება ახალი ნამუშევრები. ბატონი რეზო ესაძე მალე დაამთავრებს ფილმის გადაღებას, ალბათ, წლეულს მეც დავასრულებ ჩემს სურათს, ბატონი ალექსანდრე რეხვიაშვილი კი იწყებს მორიგი ფილმის გადაღებას. სამი ქართული ფილმის იერუსალიმის ფესტივალში მოხვედრა უკვე ბევრს ნიშნავს.

გიორგი ლალიაშვილი.



P. S. ბატონმა მერაბმა თან ჩამოიტანა იქაური პრესის გამოხმაურებები, გაზეთები: „ალია საქართველოდან“, „პანორამა“, „მაარივი“, „იედიოთ ახრონოთი“, „ჰაირ“, „ჰაარეცი“ და სხვები ფართოდ ეხმაურებიან ქართული კინოს რეტროსპექტივას, მაღალ შეფასებას აძლევენ ნაჩვენებ ფილმებს, იმედს გამოთქვამენ, რომ მალე უკეთ გაიცნობენ ქართული კინოს ფენომენს, მადლიერებით მოიხსენიებენ ფესტივალის ორგანიზატორებს მალხაზ კოხრეიძესა და ციფი მიხაელს.

მეც კარგად მახსოვს მალხაზ კოხრეიძის რუდუნება და გარჯა ისრაელში ქართული კინოს წარმოსაჩენად. მისი დიდი სურვილია, ჩვენი ხელოვნების სხვა დარგებიც გააცნოს ისრაელის საზოგადოებრიობას. ქართული კინოს ფესტივალის წარმატებამ ისრაელში სიხარულთან ერთად მას რწმენაც განუმტკიცა, რომ ნამდვილად საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებს ორი ერის სულიერი კავშირების გასაღრმავებლად.

ხსოვნა



მურმან და გიგა წულაძეები



ტრაგიკულად დაიღუპნენ საქართველოს მეცნიერებათა აკად მიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მურმან გრიგოლის ძე წულაძე** და მისი შვილი, ამავე ინსტიტუტის მე ნიერ-თანამშრომელი **გრიგოლ (გიგა) წულაძე**. მოსკოვში მ ვლინებით ჩასულნი, აეროპორტიდან ქალაქში მგზავრობის დრო ავტოკატასტროფას ემსხვერპლნენ.

მურმან წულაძე დაიბადა 1934 წლის 1 იანვარს თბილისში. 19 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშ ობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრ (ამჟამად გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი). 1976 წლიდან განყოფილების გამგის თანამდებობა. 1977 წლიდან დირექტორ მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1973 წელს დაიცვა საკანდიდ ტო, ხოლო 1990 წელს სადოქტორო დისერტაციები. მისი კვლე თი ინტერესები მოიცავდა კომპიუტერული მეცნიერების განვით რებასთან დაკავშირებულ ახალ მიმართულებას — პროგრამირ ბას, კერძოდ, ინფორმაციული სისტემების, პროგრამული ენები გამოთვლითი მანქანებისა და სისტემების პროგრამული უზრუ ველყოფის საკითხებს. ამასთანავე იგი იყო კომპიუტერიზაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში ქართულენოვანი სტა ნდარტების დამუშავებისა და დაფუძნების სულისჩამდგმელი. 199 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია გამოთვლ ტექნიკის განვითარების დარგში შეტანილი წვლილისათვის.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად მ. წულაძე ნაყოფიერ პედ გოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერ სიტეტში, სადაც გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერუ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალგაზრდა კადრების აღზრდის პრო აქტიური მონაწილე გახლდათ. ერთ-ერთი გამორჩეული ამ ლტეტის კურსდამთავრებულთა შორის მისი ვაჟი, გიგა წულაძე რომელმაც 1992 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წ გახდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელი. წარმატებით დაასრულა საკანდიდატო ნაშრომი, რომლის გა ბა რუსეთის წამყვანი სამეცნიერო ცენტრის სპეციალისტებისათ იყო მისი მოსკოვში წასვლის ერთ-ერთი მიზანი.

მურმან წულაძე ყოველთვის, სტუდენტური წლებიდან სიცოცხ ბოლომდე, აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის საზოგადოებრივი ც ვრების მოვლენებში, მას თავისი საკუთარი მოქალაქეობრივი პოზ ჰქონდა და მისი დაცვის უნარითაც გამოირჩეოდა. ადამიანებ კეთილი ურთიერთობის ნიჭით დაჯილდოებულმა, დიდი სით და სიყვარული დატოვა ყველას გულებში, თავის თანამშრომლებ კოლეგებში, მეგობრებში.

მურმან წულაძე იყო საქართველოში პირველი ფიზიკა-მათ მატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროგრამირების დარგში. დიდი ამაგი დასდო მეცნიერების ამ მიმართულების განვითარ ბას ჩვენში. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტმა აუნაზღ რებელი დანაკლისი განიცადა. მურმან წულაძე ინსტიტუტის რჯი იყო, გიგა წულაძე — მისი მომავალი. მათი სახელი დი დარჩება იმათ ხსოვნაში, ვინც მათ იცნობდა და ვისთანაც ქ ნდათ ურთიერთობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკ
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფ
ნ. მუსხელიშვილის სახელ
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებ
მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტ
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომის
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირ



გამორჩეულნი



გლოვის ზარმა ჩამოჰკრა თბილისის 57-ე სკოლაში. ტრაგიკულად დაიღუპნენ მამა-შვილი **მურმან და გიგა წულაძეები**. ეს მარტო სიკვდილი არ არის, ეს ერის დიდ დანაკლისს ნიშნავს. იშვიათია ისეთი პიროვნება, როგორიც ბატონი მურმ ნი გახლდათ. შესანიშნავი მამა, მეუღლე, გამორჩეული მეცნ რი, შვილი — გიგა, ნიმუში შვილისა, მეუღლისა, მოსწავლისა, სტ დენტისა, თანამშრომლისა, მეგობრისა და ერისა. სამწუხარო გიგას 28 წელიც არ შესრულებია, მაგრამ მან გამორჩეული ა გილი დაიმკვიდრა. რაოდენ დასანანია, რომ მისი დედა, ქალ ტონი ლალი, აღმზრდელ-მასწავლებლებისაგან ერთადერთი შ ლის წარმატებებით გულგახარებული დღეს შავმანდილიანი, გუ ლდათუთქული დასტირის შვილისა და ქმრის ცხედარს.

ჩაფერფლილია გიგას მეუღლე ნინო, მათ ხომ არ დასცალდ თუნდაც ერთი შვილი მაინც ჰყოლოდათ ნიშნად მათი დიდი სი ყვარულისა.

გულწრფელად გვინდა ვთქვათ, ყველას ვუთხრათ, მტერსაც მოყვარესაც, არ დაეცემა ეს ქვეყანა, არ დაიშლება საქართვ ლო, არ გადაგვარდება და არ გადაშენდება ქართველი ხალ მანამ, სანამ მას ეყოლება ისეთი შვილები, როგორებიც ბატონ მურმან და გიგა წულაძეები იყვნენ.

მსუბუქი და თბილი ყოფილიყოს მათთვის ქართული მიწა. მ ცხოვრის სხივი არ მოაკლდეს მათ წმინდა და უსპეტაკეს სულ

თბილისის 57-ე საშუალ
სკოლის პედაგოგიური კოლექტი

ჭადრაკი

მაია, ქეთი და ორი ალისა

გრონინგენში გრძელდება პრეტენდენტ ქალთა შეჯიბრება. მესამე ტურში ჩიბურდანიძე დაუზავდა არახამიას, იოსელიანმა მოუგო კრამლინგს. მეორედ დამარცხდა ნინო გურიელი, ამჯერად ალისა გალიამოვასთან. პენგი-კახიანისა და მარიჩი — სექუნის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულით დაწინაურდნენ მაია ჩიბურდანიძე, ქეთევან არახამია, ალისა გალიამოვა და ალისა მარიჩი.

წარუმატებელი ცდა

კონდიაში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურის პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა გია გიორგაძისთვის. შავი ფიგურებით იგი დამარცხდა ინგლისელ მაიკლ ადამსთან.

ასპარეზობაში მეორე ტურიდან ჩაება ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც გერმანიის წარმომადგენელ რომან სლობოდიანს შეხვდა. თეთრებით მოთამაშე ქართველმა მოჭადრაკემ ვერ გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა და ყაიმზე შეუთანხმდა მას.

მეორე რაუნდის მეორე პარტია წუხელ გვიან ღამით დამთავრდებოდა.

დარჩა ორი ტური

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. მეხუთე ტურში ერთპიროვნული ლიდერი — „ტექნიკური უნივერსიტეტის“ კოლექტივი ისვენებდა. დანარჩენი გუნდების შეხვედრები ასე დამთავრდა: „ზარზმა“ — „ვახტანგ-2“ 4,5:1,5, „ლიახვი“ — „მესხეთი“ 5,5:0,5, „ცისარტყელა“ — „ვერა“ 3:3, „კოლხეთი“ — „ვახტანგ-1“ 5:1.

გუშინ გათამაშდა მე-6 ტური: „ტექნიკური უნივერსიტეტი“ — „კოლხეთი“ 4,5:1,5, „ლიახვი“ — „ზარზმა“ 5:1, „მესხეთი“ — „ცისარტყელა“ 4:2, „ვახტანგ-1“ — „ვახტანგ-2“ 4,5:1,5.

პირველობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ლიდერობს „ტექნიკური უნივერსიტეტი“, რომელსაც 25 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ცხინვალის „ლიახვი“. ფოთის „კოლხეთი“ 24 ქულით მესამე ადგილზეა.

ლევსო ცინცაძე.

გაეროს განვითარების პროგრამა
მიმართვა
პროექტში „სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა დემოკრატიული მმართველობის განვითარებისათვის“ განაცხადების წარმოსადგენად:

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში იწვევს კომპანიებს, რათა წარმოადგინონ განაცხადები მონაწილეობის მისაღებად შემდეგ ტენდერებში:
1. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიისათვის კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდება
(განაცხადების მიღება მთავრდება: 1997 წ. 25 დეკემბერს 18.00 სთ.);
2. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ლოკალური კომპიუტერული ქსელის მოწოდება-დამონტაჟება.
(განაცხადების მიღება მთავრდება: 1998 წ. 8 იანვარს, 18.00 სთ);

განაცხადების წარმოდგენის მსურველი კომპანიები მიიღებენ ტექნიკურ და ფინანსურ სპეციფიკაციებს, სამუშაოების პირობების აღწერილობას, განაცხადების წარმოსადგენად აუცილებელ ფორმებსა და ინსტრუქციებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00-13.00 სთ. შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს სახლი, თბილისი,
ერისთავის ქუჩა 9, ოთახი 101. ტელ.: 25-11-26/28/31
ტექნიკური, ფინანსური და საკონტრაქტო სპეციფიკაციების პაკეტის მისაღებად დაწესებული 50 აშშ დოლარი არ ანაზღაურდება.

ყურადღება!
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ სთავაზობს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს
„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“,
„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“,
„საქართველოს კონსტიტუციის“ და
მიწის საკუთრების შესახებ კანონის
ბოლო, ოფიციალურ გამოცემებს ყველაზე იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში.
გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დიდი რაოდენობით შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი
მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული
ტელეფონი: 93-26-99.

დედა იზო, მამა რევაზ ნოდარიშვილები, მეუღლე ქეთევან ბრეგაძე, შვილი სალომე, და მაია, სიძე ბუჭა გავაშელი, დისწული ანა, მამიდა ნუნუ, ბიძა ანზორ ჯაფარიძე, მამიდაშვილი თენგიზ ჯაფარიძე, ბიძაშვილი ქეთი თოდაძე, სიდედრი ნანული, ცოლისძმა ბაჩანა ბრეგაძე, ახლობლები, ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურიკო (ზილალა) ნოდარიშვილი

დაკრძალვა 16. XII 2 სთ. ქ. ონში, მოედნის სასაფლაოზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ჟურნალისტები თანაუგრძნობენ ონის რაიონული გამგეობის თავმჯდომარეს რევაზ ნოდარიშვილს ვაჟის

ზურაბის

გარდაცვალების გამო.

ონის რაიონული გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რაიონის გამგებლის რევაზ ნოდარიშვილის ვაჟი

ზურაბ ნოდარიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დ იღუპნენ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მათემატიკუ რი უზრუნველყოფის კათედრის პროფესორი

მურმან გრიგოლის ძე წულაძე

და ამავე კათედრის ასისტენტი

გრიგოლ მურმანის ძე წულაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახს.

თბილისის 57-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი ღრმა მწ ხარებას გამოთქვამს ტრაგიკულად დაღუპული მამა-შვილის

მურმან გრიგოლის ძე წულაძისა და
გიგა მურმანის ძე წულაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახს და ახლობლებს.

და ნანული, ძმები მარლენ, ომარ ტონიები, რძლები ნანა ბ რამიძე, სოფიკო ეგნატაშვილი, სიძე ჯემალ მსხილაძე, დისშ ლები მამუკა, ირაკლი, ძმისშვილები მარი, ცოტნე, თამუნა, ატა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოსო კონსტანტინეს ძე ტონია

პანაშვიდი 14, 15 XII 4 სთ. გამოსვენება 16. XII 2 სთ. კრწან სის 16, კორპ. V

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწ ხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე დ პარტამენტის ეკონომიკურ-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხ სამმართველოს უფროსი

ვახტანგ ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ნანული ბარათაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.